პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

10 მაისი, 1938 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო ფასი 30 კაპ. № 11 (66)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

ყველა ამომრჩეველს, მუშებს, მუშა-ქალებს, გლეხებსა და გლეხ-ქალებს, წითელ არმიას, საბჭოთა ინტელიგენციას

ამხანაგებო!

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, აირჩია თავისი უმაღლესი ორგანო ხელისუფლებისა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

საბჭოთა კავშირის ყველა ამომრჩეველთა 97 პროცენტმა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და ამით მკაფიოდ უჩვენა ყველას საბჭოთა ხალხის პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა, ჩვენი ქვეყნის მშრომელების მიერ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე თავისი მოქალაქობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ისტორიულ მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ბოლშევიკების პარტია არჩევნებზე გამოდის **ბლოკში, კავშირში** უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან", რომ „ბოლშევიკების პარტია კი არ ემიჯნება უპარტიოებს, არამედ, პირიქით, მიდის არჩევნებზე ბლოკში, კავშირში უპარტიოებთან, მიდის ბლოკში მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და უპარტიოთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან".

საბჭოთა ხალხის ურღვევმა მორალურმა და პოლიტიკურმა ერთიანობამ, მისმა უსაზღვრო ნდობამ კომუნისტური პარტიისადმი (ბოლშევიკებისა) და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებში.

90 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცა **ლენინ-სტალინის** პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას.

მთელმა საბჭოთა ხალხმა გამოხატა გრძნობა უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულისა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისადმი — დიდი **სტალინისადმი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ეს ბრწყინვალე შედეგები მოულოდნელი როდი იყო ჩვენი პარტიისათვის.

მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე **ლენინ-სტალინის** პარტიამ დაამტკიცა, რომ ის არის ერთადერთი პარტია, რომელიც ნამდვილად და თანამიმდევრულად იცავს მშრომელთა ინტერესებს ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ, ერთადერთი პარტია, რომელსაც შესწევს უნარი შეამჭიდროვოს თავის ირგვლივ ხალხის უფართოესი მასები, დარაზმოს და წაიყვანოს ისინი ექსპლოატატორული წყობილების დამხობისა და უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ სოციალიზმის თავის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, რომლებმაც გადააქციეს ჩვენი სამშობლო „ჩამორჩენილობისა და შუასაუკუნოებრივობის, სიბნელისა და უკულტურობის, მშრომელთა სილატაკის, უუფლებობისა და ჩაგვრის ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, ... მოწინავე, კულტურულ, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ" (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი), იგი უნდა უმადლოდეს ბოლშევიკთა პარტიას, პარტიისა და ხალხის ბელადის — დიდი **სტალინის** ბრძნულ ხელმძღვანელობას.

საბჭოების ქვეყნის მშრომელებმა კარგად იციან, რომ თავის ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას, შრომის, განათლების, დასვენების, უზრუნველყოფილი მოხუცებულობის თავის დიად განუყრელ გარანტირებულ უფლებებს ისინი უნდა უმადლოდნენ დიდ **სტალინს**.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა კარგად იციან, რომ მეფის თვითმპყრობელობის — ხალხთა ამ საპყრობილის დანგრევას, წარსული ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური დამონების მოსპობას, თავის ნაციონალურ აღორძინებას და სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავებას ისინი უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკთა პარტიის **ლენინურ-სტალინურ** ნაციონალურ პოლიტიკას, ხალხთა სტალინურ მეგობრობას.

აი ამიტომ ჰქონდა ბოლშევიკების პარტიას იმედი ხალხის ნდობისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, აი ამიტომ მას „უფლება აქვს იმედი იქონიოს, რომ ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს" (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიადი რუსი ხალხის დახმარებით, რომელმაც დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და პირველმა აღმართა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დროშა, წინათ ჩაგრულმა ხალხებმა მეფის რუსეთისამ მიიღეს თავისუფლება და გამოვიდნენ ნაციონალური აღორძინების, სამეურნეო და კულტურული აყვავების ფართო გზაზე.

თავისი კონსტიტუციების საფუძველზე, რომლებიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, დიადი საბჭოთა კავშირის 11 მოკავშირე რესპუბლიკა ემზადება თავისი უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის.

1938 წლის 12 ივნისს საბჭოთა საქართველოს მშრომელნი აირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს—საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), საკ. კ. პ. (ბ) ერთგულ, მებრძოლ რაზმს, მაღლა უჭირავს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დროშა, მიდის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირში.

უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობენ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებიც უკვე ასახელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. თავის პირველ კანდიდატად საქართველოს მშრომელებმა წამოაყენეს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების შემომქმედი დიდი **სტალინი**.

ის განსაკუთრებული ერთსულოვნება, რომლითაც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კრებები ასახელებენ კანდიდატებს კომუნისტებიდან და უპარტიოებიდან, ცხადჰყოფს, თუ რამდენად ღრმად და მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის შეგნებაში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის იდეა, რამდენად ღრმად შეითვისეს მშრომელებმა, რომ „თვითეული უპარტიო დეპუტატი იქნება აგრეთვე დეპუტატად კომუნისტებისაგან, ისე როგორც თვითეული კომუნისტი დეპუტატი იქნება დეპუტატად უპარტიოებისაგან" (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) იმედოვნებს, რომ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ორგანიზაციები და საზოგადოებები მშრომელებისა მომავალშიაც ასევე ერთსულოვნად წამოაყენებენ საერთო კანდიდატებს კომუნისტებიდან და უპარტიოებიდან, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს უპარტიო ამომრჩევლები ისევე ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტ-კანდიდატებს, როგორც უპარტიო კანდიდატებს.

შეუძლიან თუ არა საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) იქონიოს იმედი ქართველი ხალხის ნდობისა, მისი მხარდაჭერისა მომავალ არჩევნებში?

საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საფუძველი ჩაუყარა დიდი **ლენინის** ერთგულმა მოწაფემ და უახლოესმა თანამებრძოლმა — ამხანაგმა **სტალინმა**.

სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები საბრძოლველად რაზმავდნენ მუშებსა და გლეხებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ქართველი თავადების, მემამულეების, კულაკებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის ნაციონალური ჩაგვრისაგან და კოლონიური დამონებისაგან, ექსპლოატაციისა და სილატაკისაგან.

სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე აწარმოებდნენ შეურიგებელ ბრძოლას მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ და მშრომელთა სხვა დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ, უნერგავდნენ რა ხალხის მასებს ცარიზმის, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების რევოლუციური გზით დამხობის აუცილებლობის შეგნებას.

ლენინისა და **სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები მენშევიკური ბატონობის პერიოდში სათავეში ჩაუდგნენ მუშათა და გლეხთა ბრძოლას მენშევიკური უღლის დამხობისათვის, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) **ლენინ-სტალინის** დროშის ქვეშ გააჩაღა ბრძოლა ქართველი ხალხის ყველა მტერთა განადგურებისა და მოსპობისათვის, საქართველოს გადაქცევისათვის აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

რას წარმოადგენდა საქართველო წარსულში?

იგი იყო რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი ნახევრადმათხოვრული კოლონია, სადაც მეფის ჩინოვნიკები ქართველ თავადებთან, მემამულეებთან, კულაკებთან და კაპიტალისტებთან კავშირში ულმობელად ეწეოდნენ ხალხის ექსპლოატაციას, უხეშად ჰქელავდნენ ფეხქვეშ მუშებისა და გლეხების უაღრესად ელემენტარულ უფლებებს, ახშობდნენ მათ ადამიანურ ღირსებას.

ქართველმა მენშევიკებმა თავისი ბატონობის წლებში მთლად გააპარტახეს ქვეყანა, გადააქციეს იგი მტაცებლური ექსპლოატაციის ობიექტად დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისათვის.

საქართველოს მშრომელნი ჰგმინავდნენ კოლონიური ჩაგვრისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციის ორმაგი უღლის ქვეშ.

ახლა კი საბჭოთა საქართველო წარმოადგენს აყვავებულ რესპუბლიკას, განვითარებული სოციალისტური მრეწველობითა და მოწინავე სასოფლო მეურნეობით. მარტო პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 3 მილიარდ მანეთზე მეტი.

მრეწველობის წინათ არსებული დარგები (მარგანეცი, ქვანახშირი) ძირფესვიან რეკონსტრუქციასთან და გაფართოებასთან ერთად, შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობისა (კერძოდ, ჩაის და მეღვინეობის მოწყობილობისა), ფეროშენადნობის, ცემენტის, ნავთის, საფეიქრო, საკონსერვო, შაქრისა, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების (ოქრო, დარიშხანი, მოლიბდენი) და არამადნეული წიაღისეულის (ბარიტი, გუმბრინი და სხვ.) მოპოვებისა.

საქართველოს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში თითქმის 20-ჯერ გაიზარდა.

რევოლუციამდე ელექტროგანათება წარმოადგენდა ფუფუნებას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისათვის. ახლა კი ილიჩის ნათურამ საქართველოს ყველაზე შორეულ რაიონებსა და სოფლებში მიაღწია. ამჟამად ელექტროენერგიის გამომუშავებამ საქართველოში 24-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

განსაკუთრებით შესანიშნავია საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), განუხრელად ასრულებდა რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** მითითებებს, სწორად განსაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზი, საქართველოს ჰავისა და ნიადაგის პირობების შესაბამისად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ფართო განვითარება ჰპოვეს უძვირფასესმა სუბტროპიკულმა და ტექნიკურმა კულტურებმა — ჩაიმ, ციტრუსებმა, ტუნგომ, ვაზმა, თამბაქომ, ევკალიპტმა, კეთილშობილმა დაფნამ, ეთეროზეთებმა და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საფუძველს.

სწარმოებს უდიდესი მუშაობა კოლხიდის ამოსაშრობად. ახლო მომავალში კოლხიდის დაბლობი, რომელიც წარსულში მალარიის ბუდეს წარმოადგენდა, გადაქცეული იქნება აყვავებულ სუბტროპიკულ ბაღად.

საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. ყველა გლეხურ მეურნეობათა 77 პროცენტზე მეტი გაერთიანებულია სოციალისტურ მეურნეობებში — კოლმეურნეობებში, რომლებიც წარმოადგენენ შეძლებული და კულტურული ცხოვრების მკვიდრ ბაზას.

ორ მილიონნახევარ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც წარსულში თავადებს, მემამულეებს, კულაკებსა და სამღვდელოებას ეკუთვნოდა, გადაეცა გლეხობას უსასყიდლო სარგებლობაში.

საქართველოში სოციალისტური წყობილების გამარჯვებასა და განმტკიცებას შედეგად მოჰყვა მშრომელთა მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესება.

უმუშევრობა — მშრომელთა ეს საშინელი უბედურება ბურჟუაზიული წყობილების პირობებში — წარსულში ქართველი გლეხობის საკმაოდ დიდი ნაწილის ხვედრი იყო. ახორციელებდა რა თავის კოლონიზატორულ პოლიტიკას, ცარიზმი ერეკებოდა ადგილობრივ მცხოვრებლებს საუკუნოობით შერგეული ადგილებიდან და მათს მიწებზე ასახლებდა კოლონისტებს. მკაცრი ექსპლოატაცია თავად-აზნაურების, მემამულეებისა და კულაკების მხრივ აიძულებდა გლეხებს დიდი ხნით დაეტოვებინათ თავიანთი უბადრუკი მეურნეობები და ქალაქებში წასულიყვნენ. ამავე დროს, იმის გამო, რომ არ იყო რაოდენობამე მნიშვნელოვანი მრეწველობა, რომლის განვითარებაც ხელოვნურად ბრკოლდებოდა, ქართველი გლეხების ძლიერ დიდი რაოდენობა ვერ პოულობდა თავისი შრომის გამოყენებას საქართველოს ქალაქებში და იძულებული იყო სამუშაოდ წასულიყო შორს, თავისი სამშობლოს ფარგლებს იქით.

ახლა უმუშევრობისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძაფრმა აყვავებამ უზრუნველჰყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

განუხრელად იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი. წლითიწლობით მატულობს კოლმეურნეობებში შრომადღის ღირებულება. საქართველოს ათეული კოლმეურნეობები მილიონერები გახდნენ. კოლმეურნეთა ფართო მასები უკვე გახდნენ შეძლებულნი და განაგრძობენ თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ განმტკიცებას.

ამჟამად მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციაში არავის არ შეიძლება გაუჩნდეს ნასახიც კი ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობისა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის წინაშე გადაშლილია თავისი შრომის, თავისი შემოქმედებითი ძალების გამოყენების ფართო შესაძლებლობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყოველ სარბიელზე.

შეძლებულად და სახარულად ცხოვრობენ ახლა საბჭოთა საქართველოს ხალხები.

წარსულში კერძო მესაკუთრეთა ინტერესებისათვის ხდებოდა საქართველოს იშვიათი საკურორტო სიმდიდრეთა მტაცებლური ექსპლოატაცია, ან მათ სრულებითაც არ იყენებდნენ.

ახლა საქართველო დამსახურებულად სარგებლობს ჯანმრთელობის სრულიად-საკავშირო კერის სახელით. საქართველოს მრავალრიცხოვანი ულამაზესი კურორტები კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლებითა და სანატორიუმებით წარმოადგენენ საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყვარელ სამკურნალო და დასასვენებელ ადგილებს.

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებულია უდიდესი წარმატებანი კულტურის დარგში.

ქართულმა კულტურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

ამჟამად საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობისა და მოწინავე კულტურის ქვეყანაა. მთელ რესპუბლიკაში გატარებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში, ხოლო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში—არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში.

საქართველოს მრავალრიცხოვან დაწყებითსა და საშუალო სკოლებში სწავლობს 700 ათასამდე ბავშვი — მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შვილები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს გახსნილი 20 უმაღლესი სასწავლებლის მიერ გამოშვებულია 15 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, პედაგოგი, არქიტექტორი, მეცნიერი მუშაკი.

აყვავდა ქართული ხელოვნება და ლიტერატურა. პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლებიც იჩენენ მუდმივს ყურადღებასა და მზრუნველობას მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, რეჟისორების, აქტიორების, ხელოვნების ყველა მუშაკთა მიმართ, უზრუნველჰყვეს მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა.

აშენებულია თეატრების, კინოების, კლუბების, სამკითხველოებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დიდი რაოდენობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში, ისევე როგორც მეფის მთელ რუსეთში, ქალი იყო მონა, ისევე როგორც აქამდე იგი წარმოადგენს მონას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ განთავისუფლა ქალი, გახადა იგი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრად. სტალინურმა კონსტიტუციამ სამუდამოდ განამტკიცა საბჭოთა ქალის დიდი უფლებანი.

საქართველოში ქალების საკმაოდ დიდი რაოდენობა დაწინაურებულია პასუხსაგებ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ სამუშაოზე. ქართველი ქალი მამაკაცთან ხელიხელჩაკიდებული მიდის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საქართველოს ბოლშევიკები განუხრელად ახორციელებენ სტალინურ მზრუნველობას ქალზე — დედაზე, ბავშვთა ჯანმრთელობაზე, ჰქმნიან ყველა პირობას უზრუნველყოფილი და ბედნიერი დედობისათვის.

ქართველი ხალხი, რომელიც მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გმირულად იცავდა თავის თავისუფლებას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა ნამდვილად თავისუფალი, სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი.

„მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის — დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური, არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს" (სტალინი).

ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ხალხებმა — აზერბაიჯანელმა, სომეხმა, ქართველმა ხალხებმა — **ლენინურ სტალინური** ნაციონალური პოლიტიკის დიადი პრინციპების განუხრელად განხორციელებით აღმოფხვრეს ნაციონალური შუღლი, რომელსაც წარსულში ცარიზმი, მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები აღვივებდნენ. ზრდიდნენ რა მასებს **ლენინურ-სტალინური** ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა შეჰქმნეს და განამტკიცეს ნაციონალური მშვიდობიანობა, „არნახული ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიულ წყობილებაში" (ლენინი).

მხოლოდ სოციალისტური წყობილება, მხოლოდ კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) თანაბრად უზრუნველჰყოფს როგორც დიდ, ისე პატარა ხალხთა ნამდვილ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რომლებიც საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედიან.

თავისუფალი ქართველი ხალხი ბოლომდე ერთგულია სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობისა. საბჭოთა საქართველო საბჭოთა კავშირის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს მშრომელები, მტკიცედ შემჭიდროვებულნი დიდი **სტალინის** გარშემო, გამსჭვალულნი საბჭოთა პატრიოტიზმის სულით, მზად არიან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ გათავხედებულ მტერს, რომელიც გაბედავს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელის შეხებას.

ქართველი ხალხის დიადი გამარჯვებანი წარმოადგენენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიერ **ლენინურ-სტალინური** პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგს.

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც აღზრდილნი არიან სოციალიზმის ყველა მტრისადმი შეურიგებლობის **ლენინურ-სტალინურ** ტრადიციებზე, უზრუნველჰყვეს განადგურება და მოსპობა მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტების და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებისა, ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა — პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტთა, — ტროცკისტ-ბუხარინული ბანდისა, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ წაერთმიათ ქართველი ხალხისათვის სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი, ხელახლა დაედგათ მისთვის ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციის უღელი, გადაექციათ საქართველო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), რომელსაც საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტი და დიდი **სტალინი** ხელმძღვანელობენ, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი თავდადებით იბრძვის **ლენინ-სტალინის** დიადი იდეების განხორციელებისათვის, რომ მას შესწევს უნარი თანამიმდევრობით და ბოლომდე დაიცვას ხალხის საქმე.

აი რატომ აქვს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) უფლება იქონიოს იმედი ქართველი ხალხის ნდობისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში, იქონიოს იმედი, რომ ყველა ამომრჩეველნი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს — კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. არ უნდა იყოს არცერთი მოქალაქე, რომელიც თავის მოქალაქობრივ მოვალეობად არ ჩასთვლის ხელი შეუწყოს უკლებლივ ყველა ამომრჩეველთა მონაწილეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

ვინც ისწრაფვის იქით, რომ საბჭოთა საქართველო მიდიოდეს წინ სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისაკენ, რომ იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან ოჯახში განაგრძობდეს განვითარებას კომუნიზმის გზით, ვინც ისწრაფვის იქით, რომ საქართველოს ხალხები სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში მიდიოდნენ თავისი მატერიალური და კულტურული დონის ახალი ამაღლებისაკენ, იგი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტსა და თანამგრძნობებს ისევე ერთსულოვნად მისცენ ხმა უპარტიო კანდიდატებს, როგორადაც მათ უნდა მისცენ ხმა კომუნისტ-კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა უპარტიო ამომრჩევლებს — ისევე ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტ კანდიდატებს, როგორადაც ისინი ხმას მისცემენ უპარტიო კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ამომრჩევლებს, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მივიდნენ 1938 წლის 12 ივნისს საარჩევნო ყუთებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აჭარისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა ასარჩევად.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიად კავშირს — მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის მძლავრ დასაყრდენს!

გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

ხალხთა ბელადს დიდ სტალინს

თბილისის ყველა მშრომელთა კრება,
დედაქალაქის გულში მისული,
ერთხმად გუგუნებს როგორც ქვეყნისთვის
ორას ათასი თავშეფიცული.

ერთხმად გუგუნებს და ერთის გრძნობით
მოგესალმება საყვარელ ბელადს,
ვისი სახელიც ქვეყნად ანათებს
და გამარჯვებულ დროშებზე ელავს.

დღეს გაზაფხული საქართველოში
მზითა და შენი ხელით სწერია,
ბედნიერია დღეს საბჭოეთი
და საქართველოც ბედნიერია.

ჰყვავის სოფელი, ჰყვავის ქალაქი,
ხალხის დოვლათი დადგა მთებურად,
შენი სიბრძნით და შენი მარჯვენით
ჩვენი სამშობლო განათებულა.

შენ მოგვიტანე — რაც გვინატრია,
რაც სხვას არავის არ მოუცია:
გამარჯვებული ქვეყნის და ხალხის
უდიადესი კონსტიტუცია.

და თავის პირველ უმაღლეს საბჭოს
არჩევნებს ერი დიდებით ხვდება,
მოდის დუნია და ქართველ ხალხის
სიმღერა კრემლის ვარსკვლავებს სწვდება.

აშლილა ხალხი და როგორც თავის
ბედნიერების გამომსახველი,
მოაქვს უწმინდეს ფიცად და დროშად,
დიდო ბელადო, შენი სახელი!

მოაქვს მას გულით ვინც დღეს აჩარებს,
ვინც მასთან იყო ძველად პირშიაც —
მან საკავშირო უმაღლეს საბჭოს
პირველ რჩეულად შენ აგირჩია.

დღეს საქართველოც შენ გასახელებს, —
შენი მშობელი, შენი აკვანი,
რადგან მის ყველა გაზრდილთა შორის
შენა ხარ გმირი პირველთაგანი.

და ერთხმად გფიცავს ქართველი ხალხი
ბოლშევიკური საქმით და ფიცით,
დავიცავთ ჩვენი დიდი სამშობლო
ბრძოლით, რომელიც ჩვენ შენგან ვიცით.

დავიცავთ ყველა მონაპოვარი,
და როგორც წინათ—მომავალ დროშიც,
გავწიოთ ახალ გამარჯვებებით
ლენინ-სტალინის უძლეველ დროშით!

მაშ გაუმარჯოს — ვინც ხალხის გულში
ცოცხლობს და გვაძლევს სიცოცხლის ხალისს, —
ჩვენს მასწავლებელს, მამას და ბელადს,
ქვეყნის დიდებას— საყვარელ **სტალინს**!

ლექსად თქმული ილო მოსაშვილის მიერ.

მთელი ხალხის კანდიდატები

ახლოვდება მზიური საქართველოს მშრომელთა საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღე — 12 ივნისი. ამ დღეს, თავისუფალი და ბედნიერი ქართველი ხალხი, **ისეთი ერთსულოვნებით**, როგორიც მხოლოდ ბოლშევიკთა გმირული პარტიის მეთაურობით გაერთიანებულ ადამიანებს სჩვევიათ, აირჩევს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს.

ამ დღეს ხალხი, ხმას მისცემს რა პარტიელთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თავის უმაგალითო დარაზმულობასა და სიმტკიცეს, თავის შეკავშირებას ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, თავის მხურვალე სიყვარულს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის გენიალური **სტალინისადმი.**

ამ დღეს ხალხი ხმას მისცემს თავის საამაყო შვილებს, ლენინ-სტალინის მიერ გამოზრდილ ადამიანებს, მათ, ვინც მტკიცედ სდგას სოციალიზმის სადარაჯოზე, ვინც ნამდვილად გვიჩვენებს ხალხის საზიზღარ მტრებთან შეურიგებელი ბრძოლისა და ბოლშევიკური სიფხიზლის მაგალითს, ვინც თავი ისახელა ენერგიული შრომით სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე და სამშობლოსადმი ერთგულებით.

მთელს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს მზადება 12 ივნისისათვის. საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ მთავრობის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე მთელ საქართველოში, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, გაიმართა მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც მასების აქტივობისა და ენთუზიაზმის არაჩვეულებრივი ამაღლობის პირობებში ტარდება. წინასაარჩევნო კრებები წარმოადგენენ ჩვენი ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციას.

ყველა წინასაარჩევნო კრებაზე ხალხი უდიდესი სიყვარულით და აღფრთოვანებით საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ასახელებს იმას, ვისი ბრძნული ხელმძღვანელობითაც ჩვენს ქვეყანაში აშენდა და დამკვიდრდა სიცოცხლით და სიმხნევით სავსე საამური და ბედნიერი სოციალისტური ცხოვრება, ვისი მეთაურობითაც შეუჩერებლად მივდივართ წინ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ—დიდ **სტალინს.**

ხალხმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა აგრეთვე დიდი **სტალინის** შესანიშნავი თანამებრძოლები — საბჭოთა მთავრობის მეთაური **ვ. მ. მოლოტოვი,** სტალინური სახალხო კომისარი **ლ. მ. კაგანოვიჩი,** საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი **კ. ე. ვოროშილოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ი. კალინინი** გამობრძმედილი სტალინელები — **ვ. ჩუბარი, ა. ი. მიქოიანი, ს. კოსიორი,** საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი მეთაური **ნ. ი. ეჟოვი,** ლენინგრადის ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელი **ა. ა. ჟდანოვი,** ქართველი ხალხის სახელოვანი და საყვარელი შვილი **ლ. პ. ბერია.** გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწეების კანდიდატურათა ერთსულოვან მოწონებაში მთელი სიძლიერით სჩანს ქართველი ხალხის ერთგულება და სიყვარული ბოლშევიკების პარტიისადმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი **სტალინისადმი.**

ხალხმა თავის კანდიდატებად დაასახელა სოციალიზმის საქმისადმი ბოლომდე ერთგული, შემოწმებული ადამიანები, ღირსეული პარტიული და საბჭოთა მუშაკები, გამოჩენილი სტახანოველები, მეცნიერებისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები. დასახელებულია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. მ. ბაქრაძის** კანდიდატურა. დასახელებულია სტახანოველი რკინიგზელი ამხ. **ი. ა. დევსურაშვილი,** დასახელებულია ორდენოსანი მემანქანეები ამხ. **ა. ვ. ჯორბენაძე,** და ამხ. **ნ. ვ. გელაძე.** დაასახელეს პროფ. **ი. ა. ჯავახიშვილის,** პროფ. **კ. ერისთავის,** საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის **ა. ვასაძის,** სომხური თეატრის ხელმძღვანელის **ა. ა. აბარიანის,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **გ. ი. კიკნაძის** და სხვათა კანდიდატურები.

ჩვენი ხალხი ერთნაირი გულისხმიერებით აფასებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტის მუშაკს. ხალხი თავის უმაღლეს ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს სტახანოველსაც, ხელოვანსაც, მწერალსაც, მეცნიერსაც, პარტიელსაც **და** უპარტიოსაც. მხოლოდ ერთი საზომი არსებობს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებისათვის — რამდენად გამოიჩინე თავი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, რამდენად დაიმსახურე და გაამართლე პარტიისა და ხალხის ნდობა.

საარჩევნო კამპანია ყოველდღიურად ფართოვდება და ღრმავდება. 4 მაისს გამოქვეყნდა უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი. ამ მიმართვას საარჩევნო კამპანია აჰყავს ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, მიმართვა გვაძლევს დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელთა ბრძოლებისა და გამარჯვებების ნათელ და ამაღელვებელ სურათს. მიმართვა მკაფიოდ გვიჩვენებს, რა იყო ჩვენი ქვეყანა წარსულში — მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის დროს და რას მიაღწია მან მუშათა კლასის დიქტატურის დროს დიდ საბჭოთა ოჯახში. მიმართვა გვიჩვენებს **იმ** მტკიცე საფუძველს, რომელზედაც დამყარებულია პარტიელთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკი. მიმართვაში ნათქვამია: „ვინც ისწრაფის იქით, რომ საბჭოთა საქართველო მიდიოდეს წინ სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისაკენ, რომ იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან ოჯახში განაგრძობდეს განვითარებას კომუნიზმის გზით, ვინც ისწრაფის იქით, რომ საქართველოს ხალხები სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში მიდიოდნენ თავისი მატერიალური და კულტურული დონის ახალი ამაღლობისაკენ, იგი ხმას მისცემს კომუნისტებსა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს“. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს საბრძოლო მოწოდება უნდა გადაიქცეს მთელი საარჩევნო მუშაობის გაღრმავებისა და გაფართოების მძლავრ იარაღად.

საბჭოთა მწერლების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. როგორც საჭიროა, ისე ჯერ კიდევ არა სჩანს ჩვენი პრესის ფურცლებზე საბჭოთა მწერლების მძლავრი აგიტატორული ხმა.

საჭიროა ამ საქმის ყოველმხრივ დაჩქარება, რომ ბოლშევიკურად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ხალხის წინაშე, ქვეყნის წინაშე, დიდი **სტალინის** წინაშე.

თბილისის მშრომელთა ორასიათასიანი მიტინგი

7 მაისს საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნებს.

ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ტფილისის მშრომელთა მრავალათასიანი კოლონები დაიძრნენ საგანგებოდ მორთულ ფედერაციის მოედნისაკენ. ქალაქის საბჭოს შენობას ამშვენებდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის — **სტალინის** დიდი პორტრეტი, ზღვასავით ღელავდნენ წითელი დროშები.

ტრიბუნაზე იდგნენ ამხანაგი ლ. პ. ბერია, ამხ. ვ. მ. ბაქრაძე, კ. ჩარკვიანი, ს. გოგლიძე, ს. იშხანოვი, მ. ჯაში, ს. მამულოვი, გ. სტურუა, პ. შარია, ვ. მერკულოვი, ი. ვაცეკი, ი. ტიულენევი, შ. ჭანუყვაძე, თ. ბირკაძე, შეროზია, მილშტეინი, წიკლაური, ჭიჭინაძე, ა. ხორავა, დ. არაყიშვილი, პროფ. მუსხელიშვილი, პროფ. კეცხოველი, შ. დადიანი, ა. მაშაშვილი, ჯორბენაძე, ა. წუწუნავა, ა. ვასაძე და სხვა.

7 საათზე, როდესაც მოედანი მშრომელთა კოლონებით გაიჭედა, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ამსრულებელმა ამხ. გვიშიანმა მიტინგი გახსნილად გამოაცხადა.

პირველი სიტყვა მიეცა ტფილისის დეპოს მემანქანეს ამხ. ნ. ცხენოსანიძეს. შემდეგ გამოვიდნენ: ხელოვნების მუშაკთაგან — ამხ. ა. ხორავა, საქ. კომკავშირისაგან ამხ. შ. ჭანუყვაძე, მეცნიერების მუშაკთაგან — პროფ. ნ. კეცხოველი, ტფილისის კარნიზონისაგან ი. სილაგაძე, ტფილისის პიონერებისა და მოსწავლეებისაგან — მარგო ქორიძე, მკერავ №2 ფაბრიკის მუშა ქალებისაგან — ა. აივაზიანი. საბჭოთა მწერლებისაგან ი. მოსაშვილი, საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ჯაში.

ყოველივე სიტყვა გამსჭვალული იყო უდიდესი სიყვარულით და ერთგულებით სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, მშრომელთა დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისადმი.** გაისმოდა მგრგვინავი ტაში და შეძახილები: **„გაუმარჯოს დიდ სტალინს“! „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!“ „გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას“! სალამი საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ლავრენტი ბერიას!“**

კვლავ იგრიალა ტაშმა და ოვაციამ, როდესაც ინჟ. ე. კოქლავაშვილმა წაიკითხა ტექსტი მისალმებისა, რომელიც გაეგზავნა ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციის შემქმნელს, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს დიდ **სტალინს.**

მიტინგი დამთავრდა. ამოძრავდა მძლავრი პროჟექტორებით განათებული მოედანი. კოლონა კოლონას მისდევდა. ორასი ათასზე მეტმა მშრომელმა გაიარა ტრიბუნის წინ. ეს იყო კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დემონსტრაცია. მთელი საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის დემონსტრაცია, იმის დემონსტრაცია, თუ რა უსაზღვროდ ერთგულია საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიისა, თუ რა ძლიერი სიყვარულით არის იგი გამსჭვალული მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის, მეგობრის და მასწავლებლის დიდი **სტალინისადმი.**

მხედრული ლექსები

ვარლამ ჟურული

1

ქვეყნად ცხრათვალა მზე არი,
მნათობად ცის და ბარისა,
უფრო კაშკაშა მზე არი
კაცი ფოლადის გვარისა.

მისი სახელის ხსენებით
ყველა ჩვენგანი ლომია,
ქვემეხთა ცეცხლის ენები
მტრის მოსასპობად გვდომია.

საბჭოთა მიწის ნაპირებს
უმზერს ურიცხვი აფთარი,
სამშობლო ომს არ აპირებს,
მაგრამ საომრად მზად არი.

როცა იჭექებს, იქუხებს,
დაჰკრავს შეტევის ნაღარა,
სანგრებში არვინ იწუხებს,
თოფქვეშ დადგება ჭაღარაც.

ირგვლივ რომ ენთოს ხანძარი,
მაინც დავძლევთ და წინ ვივლით,
მტერს დაატყდება თავზარი
ტყვიის წვიმების წვივილით.

ომში მამაცი მხედარი
სამშობლოს რკინის ფარია,
მიწამაც დაგმოს ცხედარი
თუ ის ლაჩრულად მკვდარია.

ვისაც სული აქვს გმირული,
იგი ბრძოლაში რაინდობს,
ვაჟკაცი ხმალ-მოპირული
მტერს არასოდეს დაინდობს.

ცაზე თუ ერთი მზე არი,
მნათობად ქვეყნის დარისა,
ხალხის ნანატრი მზე არი
კობა ფოლადის გვარისა.

2

დედამ გვაწოვა ძუძუი,
გვზარდა სამშობლოს მცველადა;
ქარო, მრისხანედ ნუ ზუი,
სანგრებში მინდორ-ველადა.

მტკიცეა, რკინის მაგვარი
მეომრის ფიცის დადება;
ვართ პიტალოზე მავარი,
მეხიც ვერ გაგვიმკლავდება.

ცოფდება მტერი ვერაგი,
ბნელი ზრახვებით გვიმიზნებს.
ვერ მოადუნებს ვერავინ
ჩვენში არწივის სიფხიზლეს.

ვიყოთ შემართულ შაშხანით,
ჩავიდგათ კაჟის გულები;
თოფმა თუ იწყო ჭახანი
ვაჭექოთ ქვემეხთ ლულები.

არ გვინდა სხვისი მამული,
მაგრამ ამ დროშას და მიწას,—
გმირი ბრძოლაში ჩაბმული
ლომის ძალღონით დაიცავს.

ჩაგრულ ერების მხარეში
ძმათა ჩონჩხების ხვავია,
გრძელდება მგლების თარეში,
ირგვლივ სვავები ჩხავიან.

მტრებს უბოროტესს, გულშავებს
ჩვენაც პირისპირ შევხვდებით,
ავკაფავთ ხალხის დუშმანებს
საბჭოთა ქვეყნის მხედრები.

ქარო, მრისხანეთ ნუ ზუი,
სანგრებში მინდორ-ველადა,
შეერგოს დედის ძუძუი
ვინც ჰყავს სამშობლოს მცველადა.

უმაღლეს საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი მხატვრული კრებული

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი გამოსაცემად ამზადებს მხატვრულ კრებულს მიძღვნილს საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი.

კრებულში მოთავსებული იქნება ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის მიღწევებზე, ბედნიერ ცხოვრებაზე, სამშობლოზე და სხვ.

კრებულში მონაწილეობას იღებს ყველა თვალსაჩინო ქართველი მწერალი. წიგნს გამოსცემს „ფედერაცია“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე

მთელი ჩვენი დიდი სამშობლო ყოველწლიურად აღნიშნავს 5 მაისს — ბოლშევიკური „პრავდის“ პირველი ნომრის გამოსვლის დღეს. ეს არის ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის, ჩვენი პერიოდული პრესის მუშაობის საყოველთაო სახალხო შეფასებისა და დათვალიერების დღე.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩვენი პრესის ზრდა მასების კულტურულ - პოლიტიკური დონის ამაღლების ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი და საუკეთესო მაჩვენებელია. არსად არ გამოდის იმდენი გაზეთი და ჟურნალი, არსად არ იბეჭდება იმდენი წიგნი, რამდენიც საბჭოთა რესპუბლიკებში, არსად და არასდროს პერიოდულ პრესას და საერთოდ ბეჭდვითს სიტყვას არა ჰყოლია იმდენი მკითხველი, რამდენიცა ჰყავს საბჭოთა რესპუბლიკებში. საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში ჟურნალ-გაზეთების რიცხვი ათს არ ასცილებია, ხოლო მათი საერთო ყოველდღიური ტირაჟი არასოდეს ოცი ათასზე მეტი არ ყოფილა. პირდაპირ საზღაპროა საბჭოთა პრესის ზრდა უკანასკნელ წლებში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს საქართველოში გაზეთების ყოველწლიური ტირაჟი უდრიდა 7. 547.000 ცალს, ხოლო 1937 წელს ეს ტირაჟი უკვე 155.129.000 ცალამდე ავიდა ე. ი. 16 წლის მანძილზე გაზეთების ყოველწლიური ტირაჟი ოცჯერ გადიდებულა. ასეთივე იყო ჟურნალების რიცხვისა და ტირაჟის ზრდის ტემპი. გასულ წელს ჩვენ გვქონია 54 სახელწოდების სხვადასხვა ჟურნალი, რომელთა საერთო ტირაჟი 1.509.000 ცალს უდრიდა. ასეთივე განმაცვიფრებელი ზრდა განუცდია წიგნის პროდუქციას. სამი საუკუნის განმავლობაში, ე. ი. მე-17 საუკუნის დამდეგიდან 1921 წლამდე საქართველოში გამოცემული ყოფილა მხოლოდ 4.000 სახელწოდების წიგნი, ხოლო 1921 — 1937 წლამდე — 17.555 წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 67.000.000 ცალს აღემატება. თუ ავიღებთ ამ ფაქტებს როგორც მოსახლეობის პოლიტიკურ-კულტურული დონის ამაღლების მაჩვენებლებს, დავინახავთ, რა დიდი ნახტომი გააკეთა საბჭოთა საქართველომ ამ 17 წლის განმავლობაში.

ჭეშმარიტად ჩვენს ქვეყანაში ბეჭდვითი სიტყვა გადაიქცა მასების ბოლშევიკური აღზრდის უძლიერეს იარაღად, რომლის საშუალებითაც მილიონები ეზიარნენ ლენინ-სტალინის დიად იდეებს.

მაგრამ არა კმარა ავღნიშნოთ საბჭოთა პრესის დიდი ღვაწლი, საჭიროა დავინახოთ ნაკლიც. დღეს უკვე გამორკვეულია, რომ ზოგან საბჭოთა პრესის ხელმძღვანელ აპარატში მოკალათებული იყვნენ ხალხის შენიღბული მტრები — ტროცკისტ-ბუხარინელი გარეწრები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ცდილობდნენ საბჭოთა გაზეთი, საბჭოთა ჟურნალი, საბჭოთა წიგნი გამოეყენებიათ თავიანთი ბნელი, ანტისაბჭოთა ზრახვებისა და მიზნების განსახორციელებლად. ისინი ხელოვნურად აბრკოლებდნენ ჩვენი პრესის იდეურობის ზრდას, მის გავრცელებას მშრომელ მოსახლეობაში.

შორს რომ არ წავიდეთ, სანიმუშოდ საკმაოა მოვიყვანოთ საქ. მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორგანოების მაგალითი. რამდენიმე წლის განმავლობაში მწერალთა კავშირის ორგანოებს — გაზეთებსა და ჟურნალებს ხელმძღვანელობდნენ ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდის აგენტები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ შეეფერხებიათ ჩვენი ორგანოების იდეურ- მხატვრული ზრდა, არარაობამდე დაეყვანათ მათი დამრაზმველი როლი, მათი აქტიურობა, დაეკარგათ მათთვის ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე პერიოდული გამოხმაურების უნარი. ამ გარეწრების მუხანათური მავნებლობის წყალობით ხდებოდა ის, რომ არა იშვიათად ჩვენი ლიტერატურული გაზეთი თვეში ერთხელ თუ გამოვიდოდა. ასევე სამი-ოთხი თვით აგვიანდებოდა ჩვენს თვიურ ჟურნალებს. რედაქციებში შესული მასალა მთელის თვეობით წაუკითხავი რჩებოდა, ხოლო სტამბებში აწყობილი მასალა მთელი კვირაობით გადაუთვალიერებელი. ვერ ვიტყვით, რომ მწერლები ვერ ამჩნევდნენ ამ აშკარად დივერსიულ მოქმედებას, მაგრამ არა გვყოფნიდა რევოლუციური სიფხიზლე, მოქალაქობრივი გამბედაობა, რათა გვემხილა მათი მავნებლური მუშაობა და მიგვეღო ზომები ამ გარეწართაგან ჩვენი პრესის გასაწმენდად.

ამიტომ მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორგანოების ჩამორჩენისათვის პასუხისმგებელია მწერალთა მთელი კოლექტივი. საბჭოთა მწერლებს მოეთხოვებათ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ თავიანთი ორგანოების გარშემო, უფრო მეტი ინტერესით მოეკიდონ ჩვენი მხატვრული პრესის ხარისხის ამაღლების საქმეს, უფრო ორგანიულად დაუკავშირდნენ მათ და იზრუნონ იმისათვის, რომ ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა მკითხველებს მიაწოდონ სულიერი საზრდო, რომელიც მათში გააძლიერებს სიყვარულს სოციალისტურ სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხისადმი, მისი შვილებისადმი და დანერგავს სიძულვილს ხალხის მოღალატეებისადმი, კომუნიზმის მოსისხლე მტრებისადმი.

კ. მარქსი და მხატვრული ლიტერატურა

გ. ნატროშვილი



ადამიანები, რომელნიც პირადად იცნობდნენ კარლ მარქსს, ესაუბრებოდნენ მას და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ მასთან, თავიანთი ცხოვრების უსაზღვრო ბედნიერებად სთვლიდნენ ამ მომენტებს— მარქსთან შეხვედრის, მასთან ერთად ბრძოლის, მასთან ერთად ერთ ჭერქვეშ ყოფნის მომენტებს. მარქსის თანამებრძოლნი, რევოლუციური მოძრაობის იმდროინდელი თვალსაჩინო წარმომადგენლები, მარქსის მოწაფეები და მეგობრები თავიანთ დიდ მასწავლებელთან შეხვედრას ყოველთვის იგონებდნენ უძლიერესი სიყვარულის გრძნობით. ხოლო ამ ადამიანების წრე უსაზღვროდ ფართო იყო. როგორც ენგელსი ამბობდა, მარქსის მრავალი მილიონი თანამებრძოლი გაფანტული იყო „მთელს ევროპასა და ამერიკაში, ციმბირის მაღაროებიდან ვიდრე კალიფორნიამდე“.

ბუნებრივი და გასაგებია მარქსისადმი ამ ადამიანების სიყვარული: უდიდესი გონების ტიტანი, რომლის მსგავსი მაღალი მწვერვალი მანამდე კაცობრიობის ისტორიის ჰორიზონტზე არ გამოჩენილა, გენიალური მეცნიერი, დაუცხრომელი მებრძოლი, პროლეტარიატის ბელადი და ორგანიზატორი, მსოფლიოს ყველა დაჩაგრულის ნუგეში და იმედი, კეთილშობილური და კრისტალურად სპეტაკი ადამიანი, — ყველაფერი ეს უნაკლოდ შეერთებული იყო მარქსის პიროვნებაში. მის ბუნებაში ფოლადისებური სიმტკიცით შედუღებული იყო ერთი მეორეში უმაღლესი მეცნიერულობა და თანმიმდევრული პროლეტარული რევოლუციონერობა. ეს იყო მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება. ეს თვისება მოსჩანს ყოველ მის წიგნში, ყოველ საგაზეთო სტატიაში, ყოველ პრაქტიკულ ნაბიჯში. კერძოდ, მისი გენიალური ქმნილების „კაპიტალის“ სიდიადე მარტო იმაში როდია, რომ იგი ყოველმხრივად და სრულყოფილად ააშკარავებს კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობებს, თვალსაჩინოს ხდის ყოველ საიდუმლო ჭახრაკს, რომელიც ბურჟუაზიულ ცხოვრებას ამოძრავებს, არამედ იმაშიც, რომ ამ ნაწარმოებში განსჭვრეტილია აგრეთვე კაპიტალიზმის დაღუპვის ისტორიული აუცილებლობა. ეს წიგნი იმავე დროს პროლეტარიატის ბრძოლის იარაღია და მრისხანე, სასიკვდილო განაჩენი ძველი ქვეყნის წინააღმდეგ. აქ ჩვენს წინაშე მარქსი დგება როგორც ბუმბერაზი მებრძოლი, შეიარაღებული მეცნიერებით, იმ იარაღით, რომელიც მტერს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არა მარტო უკუაქცევს, არამედ ანადგურებს კიდეც. ადამიანი, რომელმაც ეს იარაღი პროლეტარიატის ისტორიული ბრძოლების ქარიშხალში გამოსჭედა და პრაქტიკულ ცხოვრებაზე შეამოწმა, ურთულესი და უდიადესი გონების ადამიანი იყო.

მარქსი თავის თავზე ამბობდა: „მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ და ვმოქმედობ იქ, სადაც ვიმყოფები“. ის მართლაც მსოფლიოს მოქალაქე იყო, ისევე როგორც მისი მოძღვრება მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლის უბასრესი იარაღი შეიქმნა.

თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში კარლ მარქსი, — ადამიანი, რომელშიაც განსახიერება ჰპოვა ბუმბერაზი კლასის პროლეტარიატის ნებისყოფამ და გონებამ, —მსოფლიო მუშათა მოძრაობის სათავესთან იდგა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, ბელგიის და სხვა ქვეყნების მუშათა მოძრაობაში. ის დღე და ღამ დაუსვენებლად რაზმავდა, აწრთობდა, თეორიულად აიარაღებდა მშრომელთა ძალებს კაპიტალის წინააღმდეგ. მისი სამუშაო ოთახი ლონდონში, მეიტლენდ-პარკ როდზე, მსოფლიო პროლეტარიატის მებრძოლი შტაბი იყო.

მარქსი უნივერსალური გონების ადამიანი იყო. მაღალ გონებასა და საოცარი შრომის მოყვარეობასთან ერთად მას უდიდესი ესთეტიური გრძნობა ახასიათებდა. „მარქსი დაჯილდოებული იყო დიდი მხატვრული ნიჭით, რომელსაც ამჟღავნებდა სამეცნიერო ნაწერებშიც. სიტყვის სიძლიერით და ენის სურათოვნებით მარქსს შეეძლო შედავებოდა გერმანიის ლიტერატურის საუკეთესო ოსტატებს. თავის ნაწარმოებებში იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა აგრეთვე ესთეტიური გრძნობის ზომიერებას. ამ მხრივ იგი არა ჰგავდა ზოგიერთ ვიწრო გონების სწავლულს, რომელიც აზრების მოსაწყენ გამოთქმას მეცნიერების ძირითად საწინდრად სთვლის. მარქსს შეეძლო თავისი მხატვრული შედარებებით გამოსდავებოდა შედარებების უდიდეს ოსტატებს ლესინგს, გოეთეს, ჰეგელს“ (ფრ. მერინგი).

მარქსმა ზეპირად იცოდა ჰეინე და გოეთე. ესქილს იგი ყოველ წელს კითხულობდა ბერძნულ დედანში, სპეციალურად შესწავლილი ჰქონდა შექსპირი, რომელიც მის ოჯახში ყველას უყვარდა. ამ დიდი ინგლისელი დრამატურგის ნაწარმოებთა საუკეთესო ადგილები მისმა სამმა ქალიშვილმა ზეპირად იცოდა. მარქსი დიდად აფასებდა დანტეს და ბერნსს, უყვარდა ბალზაკი და სერვანტესი, ორმოცდაათი წლისამ რუსული ენა ისე კარგად შეისწავლა, რომ თავისუფლად კითხულობდა პუშკინს, გოგოლს და შჩედრინს. ყოველივე ამან მისი სულიერი კულტურა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა.

მთელ მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომლების წარსულს და აწმყოს მარქსი ზედმიწევნით იცნობდა, იგი არჩევდა და განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა იმ მწერლებს, რომელთაც შესძლეს კლასიკური რეალიზმის განვითარების უმაღლეს მწვერვალზე აყვანა. მარქსი ხელმძღვანელობდა მსოფლიოს მუშათა მოძრაობას და იმავე დროს უდიდეს მზრუნველობას იჩენდა იმ მწერლების მიმართ, რომელნიც თავიანთი შემოქმედებით ებრძოდნენ რეაქციას, ხელს უწყობდნენ მუშათა კლასის გათვითცნობიერების საქმეს, რომელნიც რევოლუციის ჭეშმარიტი პოეტები იყვნენ.

ასეთ პოეტთა რიცხვს ეკუთვნოდა ჰენრიხ ჰაინე. ჰაინეს სულს უხუთავდა ოფიციალური გერმანია. მას სდევნიდნენ იმიტომ რომ შეურიგებელი და მწარე იყო მისი დაცინვა გერმანული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მიმართ. ამ სიძულვილმა გერმანული ნაციონალიზმისადმი ჰაინე ლოღიკურად მიიყვანა კარლ მარქსამდე. შემთხვევითი არ იყო ჰაინესა და მარქსის მეგობრობა. ფრ. ენგელსი თავის „ლუდვიგ ფეიერბახში“ ამბობს, რომ ჰაინემ ჯერ კიდევ 1833 წელს გაიგო ჰეგელის რევოლუციის ალგებრის—დიალექტიკის ნამდვილი რევოლუციური მნიშვნელობა. მარქსის სახით ჰაინეს თავისი ცხოვრების გზაზე შეხვდა ადამიანი, რომელმაც აამაღლა პოეტის პოლიტიკური შეგნება, მეტი რევოლუციური გაქანება მისცა მის პოეზიას, უფრო ღრმად ჩაახედა იგი სოციალური ცხოვრების სიღრმეში, დაუახლოვა კომუნიზმის იდეებს. მარქსი და ჰაინე ერთმანეთს 1843 წლის დამლევს შეხვდნენ. მათი გაცნობის საბაბი „გერმანულ-ფრანგული მატიანე“ გახდა. ეს კრებული მარქსმა გამოსცა მას შემდეგ, რაც მას აუკრძალეს „რეინის გაზეთის“ გამოცემა. კრებულში მოთავსებული იყო მარქსის, ენგელსის, რუგეს და სხვათა წერილები. იქვე იყო მოთავსებული ჰაინეს მწარე სატირა გერმანელი ფეოდალების მიმართ — „სახოტბო ჰიმნები მეფე ლუდვიგ ბავარიელის სადიდებლად“.

ჰაინე პარიზში მარქსს არნოლ რუგემ გააცნო. მალე მარქსი ჩამოსცილდა რუგეს. რუგე ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გზით მიდიოდა, მარქსი—კომუნიზმის გზით. ცხადია, მათი ერთ იდეურ ბანაკში გაერთიანება შეუძლებელი იყო. ცუდად იყო განწყობილი რუგე ჰაინესთანაც. ჰაინემ თავიდანვე იგი ფილისტერად მონათლა.

ჰაინე ხშირი სტუმარი იყო მარქსის ოჯახისა, უკითხავდა მარქსს თავის ახალ ლექსებს, უდიდესი ინტერესით ისმენდა მის შენიშვნებს, ასწორებდა თავის ლექსებს ამ შენიშვნების მიხედვით. მარქსიზმის დაუძინებელმა მტერმა კაუცკიმ გამოსთქვა შეხედულება, თითქოს ჰაინესა და მარქსის მეგობრობას არა ჰქონდა პოლიტიკური საფუძველი და ეს მეგობრობა წმინდა პოეზიით იფარგლებოდა. ეს, ცხადია, არ არის მართალი. მარქსმა თვალები აუხილა ჰაინეს და გაანთავისუფლა პოეტი ზეკლასობრივი ილუზიებისაგან.

1848 წლის რევოლუციის დროს ჰაინე გერმანიაში არა ყოფილა და ამ რევოლუციაში უშუალო მონაწილეობა მას არ მიუღია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1848–49 წლების მებრძოლთა ხელში მისი მგზნებარე პოლიტიკური ლექსები პროპაგანდისა და აგიტაციის ძლიერ იარაღს წარმოადგენდნენ. იმდროის რევოლუციურ ჟურნალებში, გაზეთებში, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე ძალიან ხშირად ისმოდა ჰაინეს სახელი და ლექსები. ეს გასაგებიც არის. მარქსის ზეგავლენით ჰაინეს არა ერთ ლექსში ჰპოვა გამოხატულება მუშათა კლასის მებრძოლმა განწყობილებამ.

შემდეგში რევოლუციის ისტორიის მთელ მანძილზე ჰაინეს პოეზიას არ დაუკარგავს ეს აქტიური რევოლუციური ზეგავლენის ძალა. კარლ ლიბკნეხტი გერმანიის რევოლუციის დღეებში აჯანყებულ მუშათა შორის ჰაინეს ლექსების მასობრივ გამოცემებს ავრცელებდა. ეს ფაქტი თავისთავად ლაპარაკობს ჰაინეს პოეზიის ნამდვილი პოლიტიკური ბუნების შესახებ.

რევოლუციის პოეტთაგან, რომელნიც შემოკრებილნი იყვნენ მარქსისა და ენგელსის გარშემო, აღსანიშნავია ფერდინანდ ფრეილიგრატიც. მისი პოლიტიკური პოეზია შთაგონებული იყო მარქსიზმის უკვდავი იდეებით.

მარქსი იყო არა მარტო საუკეთესო მცოდნე მთელი მსოფლიო ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიისა, არამედ პროლეტარული ესთეტიკისა და ხელოვნების მეთოდოლოგიის შემქმნელიც. მან გენიალურად გაარკვია ჭეშმარიტი დიალექტიკურ მატერიალისტური თვალსაზრისით მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიის ურთულესი და ძირეული საკითხები.

მარქსიზმის დაუძინებელმა მტრებმა, მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა, ბურჟუაზიის მოსყიდულმა ლაქიებმა, მუშათა კლასის ვერაგმა გამცემლებმა, კონტრრევოლუციურმა ტროცკისტებმა არა ერთხელ მიიტანეს იერიში მარქსიზმის რევოლუციური მოძღვრების წინააღმდეგ. მარქსიზმის ჭეშმარიტმა მემკვიდრემ **ლენინმა** და **სტალინმა,** ბოლშევიკურმა პარტიამ დაიცვა და იცავს მარქსიზმს მტრების შემოტევისაგან. **ლენინმა** და **სტალინმა** განავითარეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს მარქსისა და ენგელსის უკვდავი მოძღვრება.

ჩვენი მზიანი ბედნიერი ცხოვრება, სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლა **მარქს - ენგელს - ლენინ - სტალინის** მოძღვრების ბრწყინვალე დადასტურებაა.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲨᲘ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲒᲐᲑᲔᲡᲙᲘᲠᲘᲐ

ᲛᲝᲮᲣᲪᲘ ᲛᲔᲗᲔᲕᲔ

შენ სახლს მდინარე ჩაუდის და ნაპირთან ხე დგას,
რომლის გამოწვდილ ფესვებს წყალი მშვიდათ ასველებს;
ის საღამო ჟამს ანკესებით ნაპირს გახედავს
და მიაშურებს ტირიფის ქვეშ გამართულ სკელეს.

ისვრის ანკესებს მდინარეში, ხის ძირას ჯდება,
გასცქერის მზისგან ამოვსებულ მდინარის ბოლოს,
საღამოვდება, მაგრამ სხივი ჯერ კიდევ სწვდება
ანკესთან ახლოს ჩამოდებულ თუნუქის კოლოფს.

წყალს დასცქერის და ხედავს ფიჩხი როგორ გროვდება,
ან როგორ ჩნდება წყალში უცებ მოთეთრო რგოლი;
ოდეს ახალი ოდა მოხუცს მოაგონდება —
აანთებს ხანთს და თუთუნის ეხვევა ბოლი.

მიმოიხედავს, კარ-მიდამოს თვალს გადაავლებს,
უცქერის დიდხანს თუ სხივებით როგორ ირთვება
ახალი სახლი, ღიმილს მალავს, და თან ნადავლით
ის მზით შემოსილ სახლისაკენ გაემართება.

იქ კი ეზოში შტოებს შორის ღიმილი უჩანთ
ქალებს და მათი ეზო არის დღეს უკეთესი!
მიდის საღამო და ჯერ კიდევ ნარინჯის ბუჩქთან,
მწვანე ბალახზე ვერცხლის ფერი ფართხალებს თევზი.

ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

წვიმამ უცებ შეარხია და დაუვარდა
წვიმის წვეთები გაფითრებულ მაისის ვარდებს.

წვეთებიან შტოებს თეთრი და მოქანცული
ზოგან კი ისევ სჩანან ოქროს ძაფზე აცმული.

მწვანე ბუჩქებში შრიალებენ ფოთლები სველი,
მოსჩანს შტოებში სხივები ვით ობობას ქსელი.

ვერცხლის ჭიკჭიკი აივანზე ისევ გაისმა,
გაალო კარი ახალგაზრდა დიასახლისმა!

დაიშვა მშვიდათ და მივიდა ოქროსფერ ხესთან,
შემდეგ კი ისევ ნარინჯების ბუჩქებს გახედა!

მის ლოდინშია — ეს მიდამო ვინც აამწვანა
ახალ ეზოში და ოდაში შემოიყვანა.

გახედა შარას. ხეს მიეყრდნო, მაგრამ უეცრად
წვიმის წვეთები თეთრ კაბაზე მასაც დაეცა.

ᲛᲐᲥᲡᲘᲛ ᲒᲝᲠᲙᲘ

Ა. ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲘ

მთელი ქვეყანა შემოიარა
მძლე შევარდენი აქო ფრთოსანი,
ხალხში დანერგა ხე მსხმოიარე —
მგზნებარე სიტყვა ბრძენი მგოსანის.

მან არ იცოდა უქმი გართობა,
ხარბად ხარჯავდა შრომას, ძალასვე,
ასე აღუდგა უკულმართობას
და მშრომელ ხალხის უნდო ჯალათებს.

მიტომაც ჩაწვდა იგი ბელადის
დიადსა საქმეს და აზრს დასახულს,
და სამშობლოში ეხლა ხედავდა
ზღვა აღტაცებას ქვეყნად არნახულს.

როგორ მიჰქონდა ეგ სიხარული
კიდით-კიდემდე ისევე ჭაბუკს,
როცა იხილა მთა გალარული,
როს მფრინავები ებრძოდნენ ქარბუქს.

როგორ შვენოდა ფიქრების კვალი
შუბლზე ნაოჭად ასხმული იმას,
როს ბრძენი ბავშვის ცისფერი თვალით
საკაცობრიოს უჭვრეტდა მიზანს.

სიკვდილს დასძლია მან სიყვარულით,
მაღალ გენიის გაჰყვა ნაკვალევს
და არწივების მარდი მხარულით
ანადგურებდა ქვეწარმავალებს.

მიტომ გალესა მგზნებარე გულის
მოსაკვდინებლად ურწმუნომ გესლი,
წყეულიმც იყოს, კაცთაგან კრული
ბოროტ იუდას ძირი და ფესვი!

ის კი მარადჟამს დარჩება, ვიცი,
როგორც სინდისი და ქვეყნის გული,
როგორც ბელადის დიადი ფიცი,
ილიჩის კუბოს წინაშე თქმული.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტიულმა ორგანიზაციამ მეტად საჭირო და სასარგებლო პრაქტიკა შემოიღო — პარტიულ ღია კრებებზე მწერალთა შემოქმედებითი თვითანგარიშის მოსმენა და განხილვა, რაშიაც მონაწილეობას ღებულობს მწერალთა აქტივი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

გიორგი კაჭახიძის მოხსენება მის შემოქმედებითს მუშაობაზე მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის ღია კრებამ კომკავშირელ და უპარტიო მწერლებთან ერთად მოისმინა 14 აპრილს.

წლიდან წლამდე გ. კაჭახიძის შემოქმედება თემატიურად მდიდრდება და მრავალფეროვანდება. იგი უკვე აღარ ფარგლავს თავის მუშაობას სოფლის თემატიკით და სწერს ლექსებს სოციალისტურ ინდუსტრიაზე, ახალ ქალაქზე, სამშობლოსა და თავდაცვის თემებზე. დღეს იგი უკვე რამდენიმე საბავშვო წიგნის და ლექსების ორი მოზრდილი კრებულის ავტორია. ლექსებს გარდა, გ. კაჭახიძეს დაწერილი აქვს კრიტიკული ნარკვევი-მონოგრაფია შიო მღვიმელზე. ასეთივე ხასიათის შრომას ამზადებს იგი პოეტ ირ. ევდოშვილზე.

ამხ. გ. კაჭახიძის თვითანგარიშის განხილვასა და შეფასებაში მონაწილეობა მიიღეს ირ. აბაშიძემ, ს. ჩიქოვანმა, ალ. გომიაშვილმა, დ. შენგელაიამ, პ. ჩხიკვაძემ და ს. ეულმა, რომელთაც აღნიშნეს გ. კაჭახიძის პოეზიის მკაფიოდ გამორკვეული თავისებურება. მათის აზრით, გ. კაჭახიძე კომკავშირული ახალგაზრდობის პოეტია. მისი „ჩემი პირველი უჯრედი", „ის უბანი და ის კარმიდამო", ამავე სერიის ბევრი სხვა ლექსიც ცხადჰყოფს, რომ კომკავშირელი ახალგაზრდობის სულიერი განწყობილების გადმოცემა გ. კაჭახიძის ღრმად ორგანიული თემაა. ეს ლექსები ამჟღავნებენ, რომ პოეტი კარგად იცნობს იმ ადამიანებსა და მოვლენებს, რომლებზედაც ის სწერს, იცნობს და ღრმად განიცდის მათ. კაჭახიძემ გვიჩვენა აგრეთვე ჩვენი სოფლის ახალი ადამიანების განზოგადოებული ტიპების ასახვის ნიჭი, რასაც მოწმობენ ლექსები: „წურბლების გამყიდველი", „ცაგარლის ოჯახი", „ჭაღარა მწყემსი და თეთრი ლაფშა" და სხვა. გ. კაჭახიძეს ემარჯვება ბავშვების დამაინტერესებელი თემების დამუშავებაც. ბევრი მისი ლექსი მოზარდთაობას თავის ახლობელ და საყვარელ ლექსად მიაჩნია.

ამ დადებით შეფასებასთან ერთად მწერლებმა გ. კაჭახიძეს მიუთითეს მისი პოეზიის ზოგიერთ მნიშვნელოვან ნაკლზე. ზოგ ლექსში იგი ვერ დაუფლებია ფორმას, ეხვდებით უხერხულ სტრიქონებს, ენობრივ შეცდომებს. ერთფეროვნების საფრთხე მას ჯერ კიდევ არა აქვს აცილებული. პოეტმა შეუნელებლად უნდა განაგრძოს მუშაობა თავის თავზე, რომ ავიდეს მხატვრული შემოქმედების უფრო მაღალ საფეხურზე და გადააქციოს თავისი პოეზია კომუნიზმისათვის ბრძოლის უფრო მახვილ და ბასრ იარაღად.

ᲠᲐᲟᲓᲔᲜ ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

ასეთივე ცხოველი ინტერესით იქნა მოსმენილი პარტორგანიზაციის 28 აპრილის ღია კრებაზე ამხ. რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებითი ანგარიში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მისი სამწერალო მუშაობა ადრე დაიწყო, ახალგაზრდობაში. მან პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი გადასდგა სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ლიტერატურულ სინამდვილეში ფეხს იკიდებდა სიმბოლისტური სკოლის მწერლობა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი გამოსულია მშრომელთა წრიდან, თავადაც დაზგის ყოფილი მუშაა, — მიუხედავად ამისა, იგი ადვილად მოჰყვა დეკადენტურ-სიმბოლისტური პოეზიის გავლენის ქვეშ და მალე გახდა კიდეც კორპორაციის „ცისფერი ყანწების" ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა. ამ პერიოდის მის ლექსებს ამჩნევია პესიმიზმის, დაცემულობის, მისტიკური განწყობილების დაღი. ვიწრო კამერული, ინდივიდუალისტური ხასიათი რ. გვეტაძის პოეტურ შემოქმედებას შერჩა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, მაგრამ სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა რ. გვეტაძის შემოქმედებითი მუშაობა თანდათან გამოიყვანა წვრილ-ბურჟუაზიული, დეკადენტური პოეზიის ტყვეობიდან. საზოგადოებრივ-სამოქალაქო მოტივები რაც დრო გადის, უფრო მეტად გაისმის მის ლექსებში. რევოლუციურ-სოციალისტურ თემატიკისაკენ რ. გვეტაძის შემობრუნების პირველი უდაო მაჩვენებელი იყო „პოეტებო, ბარიკადებზე" და „მერკვილაძის დღები", რომლებიც ჟღერენ გულწრფელი რევოლუციური პათოსით და რევოლუციურ-რომანტიული განწყობილებით. ამავე პერიოდს ეკუთვნის რ. გვეტაძის პირველი გამოსვლა მხატვრულ პროზაში, რომელიც მწერლის უდაო გამარჯვებით აღინიშნა. რეალიზმის ელემენტები, რომლებიც რ. გვეტაძის თავის ზოგიერთ ადრინდელ ლექსში ჰქონდა, უფრო მკვეთრად გამომჟღავდნენ და გაიშალნენ მოთხრობა „თეოში", სადაც მხატვრული სიმართლით ასახულია ქართული სოფლის სოციალური ვითარება ოქტომბრის რევოლუციის წინადღით და ის დიდი ძვრები, რომლებიც ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვებამ გამოიწვია საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ასეთივე რეალისტური ფერებით აქვს ასახული რ. გვეტაძეს რომან „ჭიაკოკონა"-ში სამოქალაქო ომის პერიოდი საქართველოში, გლეხობის რევოლუციური ბრძოლა მენშევიზმის წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელ წლებში რ. გვეტაძე უფრო მეტ აქტივობას იჩენს პოეზიის სფეროში. იგი ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყოველ დიდ მოვლენას, ისწრაფვის რა ასახოს სოციალიზმის გამარჯვებით აღტაცებული ადამიანის ღრმა სულიერი მოძრაობა. მისი უკანასკნელი პოემა „წალკოტი" არის სიმღერა განახლებული ქვეყნის ადამიანების ხალისიან შრომაზე და ბრძოლით მოპოვებულ ბედნიერებაზე.

რ. გვეტაძის შემოქმედებაზე ილაპარაკეს კონსტ. ლორთქიფანიძემ, ალ. გომიაშვილმა, დ. შენგელაიამ, დ. ბენაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, კ. ბობოხიძემ, შ. რადიანმა, ი. ვაკელმა, ე. ჭყონიამ და ს. ეულმა, რომლებმაც დაახასიათეს რ. გვეტაძე როგორც ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო და საინტერესო ფიგურა. განიხილეს რა რ. გვეტაძის მხატვრული ევოლუცია, მწერლებმა გაარკვიეს, თუ როგორ თავისუფლდებოდა რ. გვეტაძე როგორც პოეზიაში, ისე პროზაში დაცემულობისა, ეგზოტიურობისა და მისტიურობისაგან, ჰქმნიდა რა ძველი და ახალი ადამიანების ტიპიურ რეალურ სახეებს და რევოლუციის წინა და შემდეგ დროინდელი საქართველოს სინამდვილის რეალურ სურათებს.

ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲚᲘᲒᲰᲘᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲢᲔ

ᲥᲔᲑᲐ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

ვით წყვილი ხარი მიმავალი მძიმე უღლის ქვეშ,
ჩვენ მივდიოდით, მივყვებოდით დატვირთულ აჩრდილს,
ვიდრე ოსტატი ამის ნებას დამრთავდა მენა.

4 მერმე ეს მითხრა: „გაეცალე, გავსწიოთ წინა,
„აქ საჭიროა ჩვენი აფრით, ჩვენივე ნიჩბებით
„ხომალდი ჩვენი წინ წავსწიოთ შეძლებისამებრ.

7 მეც გავიმართე ვით საერთოდ შეეფერება
მიმავალ კაცსა, თუმც იმ წუთში ჩემი ფიქრები
ამ თავმოდრეკილ ხედმავ სულებს თან მიჰყვებოდნენ.

10 წინ გავეშურე მტკიცე ნებით მე აღჭურვილი
მივყევ ჩემს მეგზურს და ორივემ ამასობაში
მყის შევიცანით სიმსუბუქე სხეულის ჩვენის.

13 კვლავ მეუბნება მე ოსტატი: „დახარე თვალნი,
„ეს შენ უთუოდ ამ გზაზე სვლას შეგიმსუბუქებს.
„გიჯობს დახედო რაზე ადგამ ფეხს სიარულში".

16 როგორც სჩვევიათ მიცვალებულ სულთა სახსოვრად
საფლავის ქვებზე და დაგებულ თეთრ ფიქალებზე
წარწერილია თუ ვინ არის იქ დამარხული,

19 და გზადგამომვლელს ეტირება მათ წაკითხვისას,
მოგონებათა გესლი გულზე შემოენთება.
ღვთისმოსავ სულებს ცრემლს დაადენს თვალთაგან კიდეც;

22 და მე ვიხილე გაცილებით ზედმიწევნილი,
მხატვრობის მხრითაც ნაკეთები ქანდაკებანი
ფარავდნენ გზასა მთის ფერდობის გასწვრივ მიმავალს.

25 იქ ვნახე იგი ვინც ზენარმა ჰყო სრულყოფილი
ყველაზე მეტად, ვინც ზეციდან უფსკრულს ჩანთქმულან,
და გაბნეულან დაკლაკნულნი ელვათა დარად.

28 იქ თვალი ვკიდე ზეციერი ბოძალით დაჭრილს,
ძირს დანარცხებულ ბრიარეოს მეორე მხარეს,
მძორულ სიცივით ამძიმებდა ის დედამიწას.

31 ვნახე ტიმბრეო, ვნახე მარსი, ვნახე პალლადა,
მამის მახლობლად იარაღში ჩამსხდარნი ვნახე,
მდევების ლეშებს შესცქეროდნენ ირგვლივ მწოლარეთ.

34 იქვე ვიხილე დიდ ნაშენთა ფერხთით მწოლარე
ნებროთ* უმზერდა დაზაფრული ახლა იმ ხალხებს,
ვინც სენაარში იწონებდა მის ქედმაღლობას.

37 ჰოი, ნიობე, რა მწუხარე სევდიან სახით
გამოეხატეთ, მე ეს ვნახე ამ შარაგზაზე
შვიდივე წყვილი შვილებისგან გარსშემორტყმული,

40 საკუთარი ხმლით განგმირული გნახე ო, საულ,
გელბოეს მთებში ვით მოგელო მახვილით ბოლო,
(სად არცა ცვარი, არცა წვიმა არვის უნახავს)

43 ჰოი, არაგნე, შენც გხედავდი სულო შეშლილო,
ობობის სახით სანახევროდ გამოხატულსა,
საბედისწეროდ შენგან ნაქსოვ, ნაქარგ ნაჭერზე.

46 ო, რობოამო, შენ სახეზე არ სჩანს ხიფათი,
მაგრამ ფერგამკრთალს ეტლი მაინც მიგაქროლებდა,
ვიდრე განდევნას მოგასწრებდა შენივე ხალხი

49 იქვე ფიქალზე გამოეჭრათ აგრეთვე ისიც,
თუ როგორ ძვირად ალკმეონმა დაუსვა დედას,
საბედისწერო მანიაკი მეუღლის მკვლელსა.

52 იქავე იყო სანაქებოდ გამოხატული
ღვიძლი შვილები სენაქერიმს თავს ვით დაესხნენ
და ამოხადეს იქვე სული ტაძარში მლოცველს.

55 იქვე ეხატა საშინელი დანაშაული,
როცა ტამირა კიროსს მისწვდა და უთხრა ასე:
„სისხლი გწყუროდა, მე აგავსებ შენ ისევ სისხლით".

58 ვნახე თუ როგორ დაიფანტა ასურელთ ჯარი,
როს ოლოფერნი მოაკვდინეს შეუბრალებლად
და ვით დაჩნდა იქვე მიწას სისხლისა კვალი.

61 მე ვნახე შემდეგ დანგრეული ტროადის ციხე,
შე, ილიონო ნამუსრევი ვიხილე შენი.
გამოკვეთილი ფიქალებზე ოსტატის ხელით.

64 ვინ მოიმარჯვა ოსტატურად ასე ყალამი,
ამ გადასული სახეების გადმოსაცემად?
უდიდეს ოსტატს მათი ხილვა [illegible]

67 მკვდრები მკვდრებს მგავდნენ და ცოცხალნი სუნთქავდნენ
ცოცხლად
ენახა ვისმეს სიცხადეში ეს ყოველივე,
ის ჩემზე უკეთ ამ სურათებს ვერ იხილავდა.

70 აწ იამაყეთ და იარეთ თავაწეულად,
თქვენ ევას ძენო და ნუ დახრით მიწისკენ თვალებს,
რათა ვერ ნახოთ წაწყმედისა გზაი თვითონვე.

73 ამასობაში ჩვენ მოგვევლო შორიდან მთისთვის,
მზეს უფრო მეტი გაევლო ცაზე მანძილი,
ვიდრე გონებით მივწვდებოდი ფიქრში გართული.

76 მაშინ მან მითხრა ვინც იკვლევდა გზის დაუცხრომლად
და წინამძღვრობდა: აღმართეო ზევითკენ მზერა
აწ დაფიქრებულს არ გმართებსო აქ სიარული.

79 „ზეხე ანგელოსს, მას სწადია მოგვიახლოვდეს,
და გაიხედე, დაინახავ რიცხვით მეექვსე
„დღისა გუშაგი შეენაცვლა თვის წინამორბედს.

82 „სახე და ქცევა დაიმშვიდე მოწიწებით,
„რათა ზესვლა ამნაირად გაგვიადვილდეს,
„იცოდე ეს დღე არასოდეს განმეორდება".

85 მაგრამ მე ისე მივეჩვიე მისთა თათბირთა,
დროის მოზოგვის გამო ხშირად მოწოდებულთა,
მისი ნათქვამი შევიცანი ანაზდეულად.

88 ახლოვდებოდა ანგელოსი პირმშვენიერი,
თეთრად მოსილი მიაგავდა თავათ სახითაც
ცისკრის ვარსკვლავსა გარიჟრაჟზე აღმობრწყინებულს.

91 გაშალა მკლავნი, ამის შემდეგ გამართა ფრთენიც,
„მოვედით, გვითხრა, აწ ახლოა საფეხურები,
„ამიერიდან ზემოთ ასვლაც არ არის ძნელი".

94 სულ მცირეოდენს შეუძლია გაჰყვეს ამ ძახილს.
ო, კაცთა მოდგმავ ცად საფრენად დაბადებულო,
რისთვის ვერ უძლებ შემოტევას მცირე ქარისას?

97 და მიგვიყვანა ანგელოსმა მაღალ ფლატემდე
შუბლზე მახალა მოფარფატე მან ფრთენი თვისნი
და მანუგეშა წინ გიძევსო გზა მშვიდობისა.

100 მხარმარჯვენისაკენ მთას მიუყვება ზედა ბილიკი
და მწვერვალიდან ეკლესია გასცქერის ქალაქს,
რიგზე მოვლილის რუბაკონტეს ხიდის გადაღმა

103 და ამ აღმართის შემართული იგი ზეთავი,
დაკბილულია იმ დროიდან საფეხურებით,
როცა ზომის და წონის გამო არ იყო შიში.

106 სწორედ ამ ადგილს დაცერება კლებულობს ოდნავ,
მეორე წრიდან აქ იწყება კვლავ დაფერდება
კლდეთა ტინებით მომწყვდეული ყოველი მხრიდან.

109 რა მოვაღწიეთ ამ ხეობის შემოგარენში
Beati pauperas spiritu გალობდა ორი
ისე ამაოდ, ისე ტკბილად, ენით უთქმელად.

112 აჰ, რანაირად ეს ხეობა განსხვავდებოდა
ჯოჯოხეთისგან: აქ გალობით შემოდიოდნენ
და ჯურღმულებში გაისმოდა კვნესა და ღრჭენა.

115 უკვე დავიწყეთ ჩვენ აღმასვლა საფეხურებზე,
მაგრამ აქ ასვლა მე მეჩვენა უფრო იოლი,
ვიდრე გატკეპნილ თემშარაზე უბრალოდ გავლა.

118 მიტომაც ვკითხე: „ჩამომცილდა როგორი ლოდი
„ჰოი, ოსტატო აქ არა ვგრძნობ ტვირთს არავითარს
და სიარულიც აღარა მგვრის სავსებით დაღლას".

121 მან მიპასუხა: „როცა ყველა შენ შუბლზე ნი
„ჯერ სანახევროდ აღბეჭდილნი წაიშლებიან,
„როგორც პირველი ამოჭრილი მახვილის წვეტით,

124 „მაშინ შენს ნაბიჯს დააჩქარებს ქველი სურვილი,
„და ყოველგვარი სიმძიმილი განგიქარდება,
ზეასვლა ესე შენ სიხარულს მოგვრის მხოლოდ ღა;

127 მაშინ მე ისე მოვიქეცი როგორც ის კაცი,
ვინც ისე მიდის რომ არაფერს არ ამჩნევს თავათ,
ვიდრე არ ამცნობს მათ სხვა ვინმე შუბლზე დადებულს

130 ხელის ფათურით მიაწყდება მერმე იმ საგანს,
რისი დანახვა არ შეეძლო მას თვითონ თვალით.
ასე ვიდოდი, ხელს ვისობდი დადაღულ შუბლზე;

133 მხოლოდ ღა ექვსი დამრჩენოდა მე კიდევ ასო,
ხელით შევნიშნე მხედველობით შეუნიშვნელი
ანგელოსისგან ამოჭრილი ასონიშნები,
136 ოსტატმა ჩემმა შემატყო და გაიღიმა

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ
ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ

---

29 ბრიარეო—ანტ. მითოლ. ასხელიანი დევი, გეას და ურანის ვაჟი, ძევსის წინააღმდეგ ამხედრებული.

31. ტიმბრეო—აპოლონის ერთ-ერთი სახელია. აპოლონი, მარსი და პალადა ძევსს შველოდნენ გიგანტებთან ბრძოლაში.

37. ნიობე—ტანტალუსისა და დიონეს ქალი, თებაის მეფის ამფიონის მეუღლე, 7 ქალისა და 7 ვაჟის დედას ღმერთებმა ისრებით დაუხოცეს შვილები.

43. არაგნე—ანტიური მითოლოგიის მქსოველი ქალი ათინა პალლადას გაეჯიბრა ხელსაქმეში, ქალღმერთმა დაუხია ნამუშევარი არაგნეს და დასაჯა იგი სასტიკად.

46. რობოამი—ებრაელთა მეფის სოლომონის ვაჟი.

50. ალკმეონმა მოკლა მამა მისის ამპიერეუსის მკვლელი საკუთარი დედა ერიფილე.

51. ასურეთის მეფეს სერაქერიმს საკუთარი შვილები თავს დაესხნენ და ტაძარში მოჰკლეს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲞᲝᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ*)

ᲐᲚᲘᲝ ᲛᲐᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეპოსმა თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს ანტიურ საბერძნეთში და რენესანსის ხანაში მიაღწია. კაპიტალიზმის ბატონობის ეპოქაში ეპოსმა დაკარგა თავისი ძალა, დაკნინდა. „მიუხედავად იმისა, — ამბობს მარქსი „ზედმეტ ღირებულების თეორიაში",—რომ კაპიტალიზმმა საგრძნობლად გაუსწრო წარმოების განვითარებასა და მექანიკაში ანტიურ და საშუალო საუკუნეებს, კაპიტალიზმი მაინც მტრულადაა განწყობილი სულიერი წარმოების ყოველგვარ დარგისადმი". ამიტომ არის, რომ კაპიტალისტურ პირობებში ვერ წარმოიშვებოდა ეპოსი — ამ სიტყვის ძველი გაგებით.

თუ დაუკვირდებით, შენიშნავთ, რომ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში რომანის ფორმამ განდევნა ეპიკურ-გმირული პოემის ფორმა.

შესაძლებელია თუ არა ეპოსის ტრადიციის აღდგენა საბჭოთა სინამდვილეში? შესაძლებელია და იგი წარსულ ეპოსთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ავა. სოციალისტური მეურნეობისა და ადამიანთა თავისუფალი მორალის აღორძინების ხანაში უსათუოდ შეიქმნება (და კიდევაც იქმნება) ღირსშესანიშნავი ეპოსი. თუ კაპიტალიზმის განვითარების ხანაში ეპოსი დაკნინდა და გადაგვარდა, სამაგიეროდ სოციალიზმის ეპოქაში ეპოსმა თავისი უფლება მოიპოვა და მისი განვითარება უკვე დაიწყო.

რა განსხვავება უნდა იყოს ძველ და ახალ ეპოსს შორის?

თავდაპირველად თითქმის ყველა ძველი ეპოსი ისტორიულია. ძველი ეპოსი მოყოლითი თხრობაა წარსულ ამბებზე (მაგალითად, ჰომეროსის „ილიადა" და „ოდისეა", ფრანგული „სიმღერა როლანდზე", გერმანული „სიმღერა ნიბელუნგებზე", რუსული „ბილინები" და სხვა). ჩვენი ეპოსი, სოციალისტური ეპოსი, უნდა იყოს არა თხრობა, არამედ ჩვენება საბჭოთა სინამდვილისა მის აწმყოსა და პერსპექტიულ ასპექტში. თუ სოციალისტური ეპოსი ჩვენებაა საბჭოთა სინამდვილისა, მაშინ იგი უნდა იყოს მეტი რეალიზმისა და დრამატიზმის დამტევი. ძველი ეპოსი უფრო ოდური თხრობითი ხასიათისაა, თანამედროვე ეპოსი კი ყოფა-ცხოვრებითი, გმირულ-რომანტიული და ობიექტიური ხასიათისა უნდა იყოს. მთავარი დამახასიათებელი თვისება ძველი ეპოსისა ის არის, რომ მასში მთავარი გმირი პიროვნებაა და ამ ერთი პიროვნების გარშემო ხდება ყველაფერი. გმირის ცხოვრება უმთავრესად ტრაგედიით თავდება. ახალ ეპოსში მთავარი გმირი უნდა იყოს ხალხი და ხალხიდან გამოსული გმირები—ხალხის ბრძოლასა და მოქმედებასთან მთლიანობაში, ურთიერთობაში მყოფნი. მათი მოქმედება ყოველთვის ოპტიმიზმით უნდა თავდებოდეს. თანამედროვე ეპოსი ყოველგვარი ალეგორიისა და ფატალიზმის გარეშე უნდა იდგეს. ის საღ ფანტაზიას არ უნდა იყოს მოკლებული, რასაკვირველია. სოციალიზმის ხანის ეპოსი უნდა იყოს უაღრესად რეალისტურ-ობიექტიური. აქ ავტორი ანონიმურ მდგომარეობაში უნდა იყოს. აქ ავტორის მხრივ ემფატურ (მიმართვითი) უკანდახევას ნაკლები ადგილი უნდა დაეთმოს.

წარსული ეპოსის სუჟეტური კონსტრუქცია უბრალოა, მარტივი, პრიმიტული. მაშინდელი ეპოსის ასეთი მარტივი, პრიმიტული საზოგადოებრივი ურთიერთობისა, მსოფლგაგებისა და შეგრძნობის უნარი, რასაკვირველია, მაშინდელი პრიმიტიული ნატურალური მეურნეობის განვითარებიდან გამომდინარეობს. ჩვენი ეპოსი უფრო რთული და დრამატიული უნდა იყოს, გამომდინარე სოციალიზმის მაღალი სამეურნეო წყობილების განვითარებიდან. თანამედროვე ეპოსი უფრო რთულია და მრავალმხრივი.

ეპოსი უსათუოდ გმირების პოეზიაა. თუ ეპოსში გმირი არ არის, ის ეპოსი არ იქნება. მაგალითად, ვაჟას ეპოსი გმირების ეპოსია. ის ამ მხრივ ანტიურ ეპოსს უახლოვდება. ჩემის აზრით, ეპოსის მთავარ ფონს უნდა წარმოადგენდეს ბუნება, სტიქია, ადამიანის ბრძოლა ამ უკანასკნელთან. ძველ ეპოსში ხშირია ფატალისტური განწყობილება ბუნების წინაშე. ჩვენს ეპოსში უნდა მოსჩანდეს ადამიანის შეუდრეკელი ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ, მისი დამორჩილება და გამოყენება თავისუფალი ცხოვრებისათვის.

პოემა „ენგური" ორი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგია. ამ პოემის იდეური ამოცანის დაძლევაში მე გამოვიყენე ქართული კლასიკური ეპოსი, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას და ილია ჭავჭავაძის ეპიურ ქმნილებათა ტრადიცია. რაში გამოიხატება ეს ტრადიცია? თავდაპირველად ნათელ რეალიზმში, რომელიც დეგრადაციის გზაზე დააყენეს ჯერ ქართველმა „დემოკრატიულმა პოეტებმა", შემდეგ სიმბოლისტებმა და ფუტურისტებმა. ქართული წარსული ეპოსის ტრადიცია გამოიხატება მეტის-მეტად რთულ დრამატიზმში, რაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს ეპიურ ნაწარმოებს.

ცნობილია, რომ ყოველი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები ერთი რომელიმე პრობლემის გარშემო იწერება. პრობლემას მოკლებული ნაწარმოები ცუდი ნაწარმოებია. რა პრობლემაა დასმული პოემა „ენგურში"? ეს არის ურთიერთობა ინდივიდუმსა და კოლექტივს შორის. ეს არის ურთიერთობა ადამიანის სურვილსა და პირობებს შორის. ეს არის, უკეთ რომ ვსთქვათ, ურთიერთობა ადამიანთა სურვილსა და შესაძლებლობას შორის. ბოლშევიკი ადამიანის, ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანის სურვილი ყველგან და ყოველთვის სძლევს შესაძლებლობას, რა სახის ფიზიკური დაბრკოლებაც არ უნდა გადაეღობოს მას. აქედან გამომდინარეობს ცნობილი ლოზუნგი: „არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ".

პოემის მთავარი გმირის ბურდუ შელიას სურვილს წინ დაუდგება ობიექტიური სიძნელე. ამას ერთვის პირადი ხასიათის ფიზიკურ შესაძლებლობათა დაბრკოლება. იქმნება კოლიზია, უფრო კი კონფლიქტი სურვილსა და ფიზიკურ შესაძლებლობათა შორის. გზადაგზა ადგილი აქვს ადამიანის მხრივ უკან დახევას, პანიკას, ტრაგიზმს, იმედის დაკარგვას, მაგრამ ბოლოს იდეისათვის მებრძოლი ადამიანის სურვილი, რომანტიული გაქანება, საქმისათვის უსაზღვრო თავდადება მაინც სძლევენ ფიზიკურ დაბრკოლებას, და იგი (ადამიანი) მიილტვის ახალ მწვერვალისაკენ, გმირობისაკენ. აი, პრობლემა ჩემი პოემისა.

საბჭოთა სინამდვილე თავისი სახეებით, ფერებით, ბუნებით,—აი ფონი, რომელზედაც აგებულია პოემა „ენგური".

ყოველგვარი ობიექტიური და ფიზიკური დაბრკოლების მიუხედავად, ადამიანის სწრაფვა უმაღლეს ცხოვრებისაკენ, თავისუფლებისაკენ, ლტოლვა ადამიანისა — ეს ახალი საღი თვისება—შედეგია საბჭოთა სინამდვილისა. ამ ამოცანის გადაჭრისათვის შევეცადე გამომენახა თანამედროვე ეპოსისათვის დამახასიათებელი დადგენილი, დინჯი და შეუნელებელი რიტმი ლექსალური თხრობისა. ისე, როგორც ვაჟას პოემებში, აქაც ამბავი და მოქმედება არ ეტევა ლექსის კამერულ კუპლეტებში, იგი არღვევს ლექსის კამერულ რკალს და გადადის ნაპირებს. თვით ამბის ეპიურმა თვისებამ და განვითარებამ მოითხოვა შესაფერი ფორმა ლექსისა. თანამედროვე ეპოსის ასეთ მტკიცე ფორმად მე მივიჩნიე თავისებური რიტმის დამტევი ათმარცვლოვანი ლექსი. რაც შეეხება ფერებს, პეიზაჟებს, ცოცხალ ორნამენტებს და სხვას, შევეცადე ყოფილიყო კოლორიტი.

როგორც მოგახსენეთ, პოემა „ენგური" დაწერილია თავისებური რიტმის მქონე ათმარცვლოვანი ლექსით. საქმე იმაშია, რომ მე საერთოდ და კერძოდ ამ პოემაში ვიცავ სიტყვების თანმიმდევრობით დალაგებას და მრავალმარცვლოვანი რითმების პრინციპს. პოემაში უფრო მეტად სამ-მარცვლოვანი და ხუთ-მარცვლოვანი რითმებია. მრავალმარცვლოვანი რითმა უსათუოდ აკეთილშობილებს ლექსს, აძლევს მას მუსიკალობას. ლექსი თითქოს უფრო მოძრავი, უფრო მოქნილი ხდება. პოემის ორი ათასი სტრიქონის მანძილზე იშვიათად თუ შეხვდებით ორმარცვლიანი სიტყვების გარითმვას. ეს, რასაკვირველია, დიდი წინააღმდეგობითი გზით სვლაა, მაგრამ ქართული ლექსალური კულტურის განვითარებისათვის საჭირო და აუცილებელი.

გარდა ამისა, ლექსში ვიცავ სიტყვების თანმიმდევრობითს დალაგებას, ე. ი. თუ ლექსის სტრიქონი შესდგება შუაგაყოფილ ათი მარცვლისაგან — ხუთი პირველი და ხუთი მეორე გასარითმავი, — ამ ხუთი მარცვლისაგან შემდგარ სიტყვას მე ვალაგებ თანმიმდევრობით: ორმარცვლიან სიტყვას მისდევს სამმარცვლიანი და სხვა. ავიღოთ მაგალითად: „ენგურს არ ახსოვს თბილი დღეები". ზოგი პოეტი დაალაგებდა ასე: „არ ახსოვს ენგურს დღეები თბილი". როგორც ხედავთ, პირველ შემთხვევაში სტრიქონი უფრო ჩქარია და მუსიკალური, ვიდრე მეორეში. ამ პრინციპს ხშირად ვიცავ.

გარდა ამისა, მსურს გავიმეღავნოთ ლექსის წერის კიდევ ერთი მანერა, რომელსაც პრინციპულად ვიცავ თითქმის ყველგან. ეს არის თანასწორ-მარცვლოვანი სიტყვების გარითმვა. სხვადასხვა მარცვლოვანი სიტყვების გარითმვა, ჩემის აზრით, არღვევს ქართული ენის ბუნებას, ქართული ენის მახვილს. მაგალითად, ტრაფარეტული რითმა „გული და სიყვარული" მე რითმებად არ მიმაჩნია, რადგან ქართული ენის ბუნების მიხედვით მახვილი პირველ სიტყვას (გული) ეცემა ასო „უ"-ზე. მეორე სიტყვას (სიყვარული) კი ასო „ა"-ზე, რაც არ არის სწორი რითმა. ზემოთმოყვანილი სიტყვების ნაძალადევად გარითმვის დროს უნდა დავარღვიოთ ქართული ენის მახვილი. იგი უნდა გამოვსთქვათ მაშინ დამახინჯებულად. ქართული ენის ბუნება კი უსათუოდ მოითხოვს მახვილის დაცვას. ამრიგად, უნდა გაირითმოს თანასწორ - მარცვლოვანი სიტყვები.

მე არ ვეთანხმები აგრეთვე ზოგიერთ ამხანაგს თითქოს პოემაში ბუნებასა და ადამიანს შორის ნაკლები მთლიანობა იყოს. პირიქით, ადამიანთა შრომა მე მესმის როგორც ბუნების მონობისაგან განთავისუფლება, როგორც ბრძოლა მასთან. ამ ბუნების დამორჩილებაში ადამიანი ადამიანს ხან ხელს უშლის, ხან ეხმარება. ხდება მათ შორის შეჯახება, კლასობრივი ბრძოლა და სხვა ბუნებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების გზით. ეს აზრი ჩემს პოემაში უსათუოდ არის მოცემული. აქ ბუნება არამც თუ ადამიანის გარეშე დგას, არამედ ისიც შეჭრილია ადამიანთა ცხოვრებასა და მოქმედებაში. პოემაში ვერ ნახავთ ვერც ერთ ადგილს, სადაც ბუნება ადამიანთა მოქმედებასთან მთლიანობაში არ იყოს. აქ ბუნება სტატიურად როდია მოცემული, როგორც თვითმიზანი, რაც რომანტიკული სკოლის პოეტებს ახასიათებდათ. აქ ბუნება შეჭრილია ადამიანთა შრომასა და მოქმედებაში. მაგალითად, პოემაში მდინარე ენგურიც მოძრაობს, როგორც გარკვეული ძალა, ისიც მონაწილეობას იღებს ადამიანთა სოციალისტურ შრომაში.

ზოგს ჰგონია, თითქოს პოემაში ბუნების ორნამენტური გადატვირთვა იყოს, თითქოს ბუნების ჭარბი აღწერა ჩრდილს აყენებდეს პოემის დრამატიულ განვითარებას. საქმე იმაშია, რომ მე პოემის წერის დროს წავედი უფრო პოემაში მომქმედ ადამიანთა არა ფიზიკური დაჯახების, არამედ მათი სულიერი, განწყობილების კოლიზიის გზით.

მე არ ვეთანხმები აგრეთვე ზოგ ამხანაგს მაჭაცარიას ტიპის განმარტებაში, თითქოს მაჭაცარიას ტიპს ჰქმნიდეს მარტო მისი გვარი. აქ შეიძლება მაჭაცარია, როგორც გვარი, ერთნაირ დამახასიათებელ ელფერს აძლევდეს ტიპის მოქმედებასა და მის ფსიქოლოგიურ სახეს , მაგრამ, მე მგონია, მაჭაცარიას ტიპი მოცემულია მის მოქმედებასა და განწყობილებასთან მთლიანობაში. პოემაში მოცემულ ორ ტიპს — ბესა ბუკიას და მაჭაცარიას შეიძლება დასრულებული სალებავი აკლდეს, მაგრამ ამ ორი ტიპით მე ვცდილობდი მომეცა გოგოლის დობჩინსკისა და ბობჩინსკის მსგავსი თანამედროვე ტიპები.

ამხანაგები მიწუნებენ პოემაში ერთ სიტყვას „პერპენდიკულიარულია". ეს, რასაკვირველია, ძალზე სახამუშო სიტყვაა ლექსის ფონეტიკის თვალსაზრისითაც, მაგრამ საქმე შემდეგშია: მე ამ სიტყვას ვხმარობ გარკვეულ მდგომარეობასა და სიტუაციაში. საერთოდ ცნობილია, რომ ბავშვი ჟინიანია, ბავშვს უყვარს ბევრი შეკითხვის მოცემა. ის უფროსისაგან გარკვეულ პასუხს მოითხოვს. თუ გინდათ რომ, ბავშვი არ მოგშორდეთ, უპასუხეთ სწორად. სამაგიეროთ თუ უპასუხებთ ბავშვს რომელიმე შეკითხვაზე გაუგებრად, ის უმალვე თავს დაგანებებს. ასეთია ბავშვის ფსიქოლოგია. მეზობლის ბავშვმა ოთახში მარტოდ დარჩენილ ავადმყოფ ბურდუ შელიას თავი მოაბეზრა დაჟინებული შეკითხვებით. ბურდუმ, ბავშვის თავიდან მოსაშორებლად, კითხვაზე — რატომ გტკივა ფეხიო, უპასუხა: „იმიტომ, რომ პერპენდიკულიარულია"-ო. ბავშვმა ეს რაღაც გრძელი და უცნაური სიტყვა ვერ გაიგო, სიცილი ასტეხა და გაიქცა. მე მგონია, ეს მომენტი ფსიქოლოგიურად გამართლებულია. აქ ამ სიტყვასაც თავისი დანიშნულება აქვს (მართალნი არიან ამხანაგები, როდესაც მოითხოვენ პოემაში ჩართული მეგრული სიმღერების თარგმანის სახით წარმოდგენას).

ზოგს ბურდუ შელიას ტრაგედია არადამაჯერებლად მიაჩნია. ანცვიფრებთ ის ამბავი, თუ როგორ შეიძლება ბოლშევიკი ადამიანი სწუხდეს, ტრაგედიაში გადავარდესო. ბურდუ შელიამ მშენებლობაში მომხდარი მავნებლური დაუდევრობის ხიდაგზე (არა შემთხვევით) ფეხი დაჰკარგა, დასახიჩრდა ფიზიკურად, იგი შრომის ფრონტს ჩამოშორდა. სატრფომაც უღალატა. ფიზიკურმა დასახიჩრებამ ფილტვების ზიანიც მიაყენა, ჭლექის სიმპტომები აღმოაჩნდა. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, იმოქმედებდა ბურდუ შელიაზე, როგორც ადამიანზე. ამ შემთხვევაში ბურდუს ტრაგედია უაღრესად გამართლებულია და დამაჯერებელი. მე და თქვენც არა ერთი და ორი რომანი ან პოემა წაგვიკითხავს, სადაც მარტო სიყვარულისაგან იმედის გაცრუებაც კი ჰქმნის ადამიანში უაღრესად მძიმე ტრაგედიას.

მოიგონეთ გოეტეს „ვერტერის ვნებანი". მართალია, „ვერტერის ვნებან"-ში ადამიანის ტრაგედიას ჰქმნის პიროვნებასა და მის გარშემო შექმნილი სოციალური უკულმართობა, მაინც ვერტერის ტრაგედიის მთავარ ფონს პირადი სიყვარული წარმოადგენს. ბურდუ შელიას ტრაგედიას მეტი საფუძველი აქვს. მიუხედავად ამისა, კრიტიკულ მომენტში მისი ბოლშევიკური შეგნება მაინც სძლევს მის სულიერ მდგომარეობას. მისი სურვილი მაინც სძლევს ფიზიკურ წინააღმდეგობას, და გმირობისაკენ გზას იკაფავს.

---

*) სიტყვა, წარმოთქმული პოემა „ენგურის" გარშემო გამართულ დისკუსიაზე.

ნიკო ფიროსმანიშვილი

მამია დუდუჩავა

5 მაისს 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ახალი ქართული მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ნიკო ფიროსმანიშვილი.

ფიროსმანიშვილი ღარიბი გლეხის შვილი იყო. (დაიბადა 1860 წ. ს. მირზაანში). ადრე დაობლებულმა ბავშვობა შინამოსამსახურეობაში გაატარა, თბილისელი ვაჭრის ოჯახში. წერა-კითხვის შესწავლით და მხატვრობაში დამოუკიდებელი ვარჯიშობით ამოიწურა იმ დროს მთელი მისი განათლება.

დამოუკიდებელი ცხოვრებაც მეტად მკაცრი გზით განვლო. პირველად ფიროსმანიშვილმა სამღებრო სამხატვრო სახელოსნოს გახსნა სცადა ერთ-ერთ ნაცნობთან ერთად. შემდეგ ჯერ დამტარებლის (შიკრიკის), მერე მატარებლის გამცილებლის მოვალეობას ასრულებდა. ამასაც თავი მიანება და ბაზრის ცხოვრებას შეუდგა: ორჯერ რძის სავაჭრო გახსნა. მაგრამ ფუნჯსა და ფერებს შეყვარებული მხატვარი ვერ გამოდგა ვაჭრად, ვერ შეეგუა „პატარა ჩარჩის" ბედს.

ამის შემდეგ იგი მხოლოდ სარდაფებში მოსჩანს, სადაც თან დააქვს ფერები და ფუნჯი, სწერს აბრებს და სურათებს. უოჯახო და მოხეტიალე, უმეგობროდ და უნათესაოდ დარჩენილი ფიროსმანიშვილი ეჩვევა მაგარ სასმელებს — „სვამს, რომ ხატოს და ხატავს, რომ სვას". ცხოვრების ამგვარმა გზამ ფიროსმანიშვილის შემოქმედებითი „მე" მხოლოდ საკუთარი თავით შემოფარგლა, პრიმიტივიზმის რკალში მოაქცია. ეს გარემოება კი თავის მხრივ საფუძვლად დაედო იმას, რომ მხატვარი მკვეთრად გაემიჯნა თავისი ეპოქის როგორც ევროპიზმით გატაცებული ქართული მხატვრობის, ისე მსოფლიო მხატვრობის გზებს.

ნ. ფიროსმანიშვილის შემოქმედება თემატიკისა და ჟანრების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. იგი შეიცავს სარდაფების, სოფლისა და ქალაქის ცხოვრების ამსახველ სუჟეტებს, თბილისის ტიპებს, განსაკუთრებით მდაბიო ხალხის წარმომადგენელთა სახეებს, პეიზაჟს, ცხოველებს, ნატურმორტს, პორტრეტებს, აბრებს, მოხატულს სხვადასხვა სცენით და სხვ. სინამდვილე ამ მრავალფეროვნებაში უშუალო ჭვრეტითაა გადმოცემული: მხატვარი ისე ახატავს საგნებსა და მოვლენებს, როგორც ისინი უბრალო, მარტივ ხედვაში მოსჩანან. მისთვის სამყარო სტატიურია და გაორებული. ბუნება მის სურათებში სხვაგვარი სიცოცხლით ცოცხლობს, ვიდრე ადამიანი. მას არ გაუმეორებია ვაჟა-ფშაველას პანთეისტური პრინციპი: „ჩვენ ბუნებაში ვართ, იგი ჩვენშია", თუმცა დიდი სიყვარული და უშუალო განცდა ახასიათებს ბუნების განსახიერებისათვის გამიზნულ მისი ფუნჯის ყოველ მოძრაობას. განსაკუთრებული სიძლიერით და ლირიზმით დეკორატიული ფორმებით წარმოდგენილი მისი პეიზაჟი მეტყველებს.

ნ. ფიროსმანიშვილს განსაკუთრებით უყვარს ადამიანი. უდიდესი ჰუმანიური განცდით ეპყრობა მას. იგი თავის ფერებში, დაუსრულებლივ ეძებს ადამიანის, „სულის" თავისუფალ ჰარმონიას, სიხარულს. მაგრამ ამავე დროს ის გრძნობს საკუთარ პიროვნულ ბედს, ეპოქის საერთო სუნთქვის სიმძიმეს და ამ ტკივილთა გამო მისი ფუნჯი უძლური ხდება იყოს სიხარულის პოეტი, ანსახიეროს აღტაცება, უმღეროს უდარდელ აღმაფრენას. მას უფრო ეხერხება აფრქვიოს სევდა, მელანქოლია, როგორც პროტესტი, მიმართული გაბატონებული სოციალური გარემოს წინააღმდეგ, როგორც ბოლმა, აღმოხეთქილი უპერსპექტივო, ქუჩაში გამოსროლილი შემოქმედისა. ეს მომენტი იმდენად დამახასიათებელია ფიროსმანიშვილისათვის, რომ იგი ყოველ მის სურათში მოსჩანს: მის პერსონაჟებს სევდა და ტრაგიკულობა თან სდევს მაშინაც კი, როდესაც გაშლილ სუფრასთან სხედან. ამასთან ერთად ფიროსმანიშვილს ახასიათებს თანაგრძნობით აჩვენოს ხალხი, იქადაგოს მეგობრობა და ადამიანობა.

შემოქმედების მეთოდი, რომელიც მხატვრის ამ ხედვას ედვა საფუძვლად, არ ეფარდება არც ერთ ცნობილ პრინციპს. იგი სინამდვილის აპოლოგეტია, მაგრამ ამავე დროს არ შეიცავს მის არც ნატურალისტურ, არც რეალისტურ გაშლას. იგი სიმბოლიზმსაც უკავშირდება, მაგრამ ეს უკანასკნელიც ელემენტის სახით მოსჩანს მასში. მიუხედავად ამისა, მას აქვს თავისი ძირითადი სწრაფვა, სახელდობრ, იყოს რეალისტური, აჩვენოს სინამდვილე. და თუ ეს მისწრაფება ფრთებშეკვეცილი რჩება, ზღუდეს აქაც მისი შემოქმედების პრიმიტიული ბუნება წარმოადგენს.

განსაკუთრებული სიძლიერით მოსჩანს ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში ხალხური საფუძვლები, დემოკრატიული შემოქმედებითი სუნთქვა. ეს მომენტი იმდენად ორგანიულ სახეს ღებულობს ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში, რომ იგი ხალხურობის გზით მაღალ ქართველი მხატვრების ყველაზე მკვეთრ წარმომადგენლად გვევლინება.

ნ. ფიროსმანიშვილს ხშირად სთვლიან ქართული მხატვრობის უმაღლეს მწვერვალად, ახალი ქართული მხატვრობის ფუძემდებლად. ცხადია, ამგვარ გაგებას საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან. ქართული მხატვრობის წარსული იმდენად მდიდარია და მაღალი, რომ ფიროსმანიშვილის გამოცხადება მის მწვერვალად მხოლოდ პარადოქსად შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ავღნიშნეთ, ფიროსმანიშვილი პრიმიტივისტია, იგი ვერ იცავს კომპოზიციისა და პერსპექტივის ელემენტარულ წესებს. იგი ხატავს „უბრალოდ", ხმარობს ფერების განსაზღვრულ რაოდენობას. მაგრამ ამავე დროს იგი აღჭურვილია ძლიერი მხატვრული ხედვით, იგი მოქმედებს დიდი შემოქმედებითი ტალანტის სტიქიით.

ნ. ფიროსმანიშვილი ლოთი მეაბრის როლში გარდაიცვალა. სამი დღე ებრძოდა იგი სიკვდილს ბნელ სარდაფში, უპატრონოდ მიტოვებული. იქიდან იგი შემთხვევით წაიყვანეს საავადმყოფოში. მაგრამ „საწყალ ნიკალას" გზა უკვე დამთავრებული აღმოჩნდა: ერთი დღის შემდეგ, 1918 წლის 22 აპრილს (5 მაისს), სარდაფების ხელოვანი გარდაიცვალა.

ნ. ფიროსმანიშვილის მხატვრული მემკვიდრეობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა დაფასებული.



ნატურ-მორტი ნახ. ფიროსმანიშვილისა

„ამბავი იგორის ლაშქრობისა"

ამ რამდენიმე დღის წინათ გამომცემლობა „ფედერაცია-"მ მოაწყო პოეტ სიმონ ჩიქოვანის მიერ თარგმნილი უძველესი რუსული ლიტერატურული ძეგლის „ამბავი იგორის ლაშქრობის" კითხვა.

პოემა, რომელიც ს. ჩიქოვანს ძველი რუსულიდან აქვს გადათარგმნილი, დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. ს. ჩიქოვანს ამოცანად დაუსახავს, პოემის ქართული თარგმანი მისაწვდომი გახდეს მკითხველთა ფართო მასებისათვის. ამ მიზნით მას ფართოდ უსარგებლია იმ კომენტარიებით და კრიტიკულ ისტორიული ლიტერატურით, რომელიც ამ შესანიშნავი ძეგლის გარშემო არის დაგროვილი. ამ მდიდარი მასალის გაცნობას მთარგმნელისათვის საშუალება მიუცია, გაეშიფრა და გაეხსნა ის გაუგებარი ადგილები, რომლებიც გვხვდება ძველი რუსულით დაწერილ პოემაში. ამავე დროს მთარგმნელს უცდია ნაწარმოებისათვის შეენარჩუნებინა ეპოქის კოლორიტი, უძველესი დროის სურნელება.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო გამხდარა ძველი ქართული ლექსიკის გამოყენება, ძველი ქართული სახელების გამონახვა იმ ნივთებისა და იარაღებისათვის, რომლებიც დამახასიათებელი იყო მეთორმეტე საუკუნის რუსული მატერიალური კულტურისათვის და რომლებსაც ხმარობდნენ პოემის გმირები. ამავე დროს მთარგმნელს შეგნებით გვერდი აუხვევია სინტაქსიური არქაიზმისათვის, რომ ამით პოემა მკითხველისათვის გაუგებარი არ გამხდარიყო.

პოემა თარგმნილია ათ მარცვლოვანი ლექსით. მთარგმნელს დაუცავს ორიგინალის შესატყვისი ევფონია, მუსიკალური ჟღერა, რომელიც გადმოგვცემს დიდის გმირულ სულს, და მასში გამოხატულ ღრმა პატრიოტიზმს. მთელი პოემა თარგმნილია დაწმენდილი ქართული ენით და ისმის, როგორც ქართულად დაწერილი მაღალმხატვრული ეპიური ნაწარმოები. ასეთი შეფასება მისცეს ს. ჩიქოვანის მიერ თარგმნილ „ამბავს იგორის ლაშქრობისას" კონსტ. გამსახურდიამ, ი. გრიშაშვილმა, ვ. გაფრინდაშვილმა, ს. დანელიამ, დ. ბენაშვილმა, ვ. წულუკიძემ, რ. გვეტაძემ და სხვებმა, რომელთაც აღნიშნეს მთარგმნელის მიერ იმ ღრმა მწუხარების, უიმედობისა და სევდიანი ჰანგების ოდნავი შენელება, რომელიც თან ახლავს რუსულ დედანს. ამ გადახვევის გამო ქართული თარგმანი ჟღერს უფრო პათეტიურად და ოპტიმისტურად. პოემა მკითხველებს მსჭვალავს სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულით და თავდადების გრძნობით.

პოემას მდიდარი მხატვრული გაფორმებით, მთარგმნელის წინასიტყვაობით და კომენტარიებით სცემს „ფედერაცია" ამ დიდი ლიტერატურული ძეგლის 750 წლის საიუბილეო დღეებისათვის.

ილიას მუზეუმი ყვარელში

1 მაისს ყვარელში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის მუზეუმი. მუზეუმი მოთავსებულია სახლში, სადაც ბავშვობა გაატარა უდიდესმა ქართველმა პოეტმა. მუზეუმს უჭირავს მოზრდილი ნათელი ოთახი მეორე სართულში. იქ გამოფენილია საბჭოთა მხატვრების სურათები, რომლებიც ასახავენ ილია ჭავჭავაძის ცხოვრების და შემოქმედების დამახასიათებელ მომენტებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ზეთის საღებავებით შესრულებული ყვარელის პეიზაჟები. იქვეა წარმოდგენილი ილიას ხელნაწერების ასლები, ფოტო სურათები, მემორიალური ნივთები და სხვა.

მუზეუმის გახსნის დღეს 1 მაისს ყვარელში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 1.500 კაცი. მიტინგი ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა გ. ლეონიძემ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირისაგან პოეტი სანდრო ეული, განსახკომისაგან ამხ. გ. ასათიანი, ყვარელის პარტრაიკომისაგან ამხ. ალ. ასათიანი, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქ. მუზეუმისაგან ამხ. გ. ხარატიშვილი. მწერალთა მუზეუმისაგან ამხ. გ. აბზიანიძე, ყვარელის რაიაღმასკომისაგან ამხ. ა. გაფრინდაშვილი, საქართველოს სათეატრო მუზეუმისაგან ან. ნიკოლაძე.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე კოლმეურნეებმა, ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლის მოწაფეებმა, პიონერებმა და სხვებმა.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მოხდა მუზეუმის დათვალიერება. მუზეუმის კარებს დიდძალი ხალხი მოაწყდა. ყვარელის მშრომელი მოსახლეობა სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ათვალიერებდა მისი მიწა-წყლის შვილის, უდიდესი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების დამახასიათებელ ექსპონატებს.

საღამოს 8 საათზე ყვარელის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა ი. ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო. მოხსენება ი. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოც. გ. აბზიანიძემ.

ლექსები წაიკითხეს პოეტებმა სანდრო ეულმა, გიორგი ლეონიძემ და ვასო გორგაძემ. ხალხი აღტაცებით შეეგება თბილისელ სტუმრებს, მისალმებებით და ლექსების კითხვით გამოვიდნენ ყვარელის სკოლის მოწაფეები და პიონერები.

მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა რაიონული კონფერენცია

საქართველოს ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ამხ. ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში 11 მაისს საღამოს 7 საათზე იწვევს **მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა რაიონულ კონფერენციას.** დღის წესრიგი: 1. კომკავშირი მხატვრულ ლიტერატურაში (მომხ. ამხ. ა. გომიაშვილი). 2. მხატვრული განყოფილება.

ათი წელი

თავის არსებობის ათი წელი შეუსრულდა საბჭოთა საქართველოს ბედნიერ ახალგაზრდობის საყვარელ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრს; ათი წლის წინათ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით ჩამოყალიბდა ეს თეატრი.

მოზარდ მაყურებლის თეატრში პირველად დაიდგა პიესა „ფრიც ბაუერი". ახალგაზრდა მაყურებლებმა სპექტაკლი გულწრფელად მიიღო. „ფრიც-ბაუერის" გამარჯვებამ გაამხნევა ახალგაზრდა თეატრალური კოლექტივი და დიდი გულმოდგინებით დაიწყო მუშაობა ახალ პიესებზე. „ფრიც - ბაუერის" შემდეგ თეატრში დაიდგა „რობინ გუდი" და „ალტაელი რობინზონები". ამ დადგმებით დასრულდა პირველი სეზონი.

თეატრის მეორე სეზონი საყურადღებოა იმით, რომ ამ პერიოდში ქართველმა დრამატურგებმა დასწერეს პიესები მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის. თითქმის მთელ სეზონში იდგმებოდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა დადიანის „ბოთე და კუსპარა" და კერესელიძის „ეშმაკი".

პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობის შედეგად მოზარდ მაყურებელთა თეატრს მიეცა საკუთარი თეატრალური შენობა. ამ გარემოებამ მძლავრი სტიმული მისცა თეატრის კოლექტივს მუშაობის შემდგომი გაღრმავებისა და გაშლისათვის.

დადგმების შესანიშნავი ციკლი თეატრმა დაიწყო სიმონ მთვარაძის მიერ დანიელ ჭონქაძის — „სურამის ციხიდან" გადმოკეთებული პიესით. თეატრმა ამ შესანიშნავი დადგმით უკვე ორგანიზებულ ახალგაზრდა მაყურებელს უჩვენა ბატონყმური დროის შესანიშნავი სურათი. პიესა „სურამის ციხე" შეუყვარდა მოზარდ მაყურებელს და ის პოპულარულ დადგმად იქცა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მიმდინარე სეზონში ნახუცრიშვილისა და [illegible] „ლადო კეცხოველის" დადგმა. [illegible] ბრწყინვალე სპექტაკლი [illegible] მოზარდი მაყურებლების კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

მიმდინარე სეზონში თეატრის კოლექტივი ამზადებს დასადგმელად პიესა „წითელ ქუდას". პიესას სდგამს თეატრის ხელმძღვანელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ამხ. თაყაიშვილი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შესაფერისად დააფასა თეატრალური კოლექტივის ათი წლის ენერგიული მუშაობა და 30 აპრილს გადაუხადა იუბილე.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ თეატრის კოლექტივი მომავალ მუშაობაში გაამართლებს თავის მოწოდებას და კიდევ უფრო მეტი ენერგიით დაეხმარება საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

შ. ქურდიანი

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ათი წელი

ტფილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის საიუბილეო საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამოს პირველ ნაწილში ნაჩვენები იყო „სურამის ციხის" მე-4 სურათი, „ადელანტეს" მე-3 სურათი, „ნაცარქექიას" მე-6 სურათი და პიესის „ლადო კეცხოველის" მე-4 და მე-5 სურათები. ამ პიესებმა დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა. სტუმრები და მოზარდი მაყურებლები მსახიობებს ოვაციებს უმართავდნენ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ამხ. თამარ ბირკაძე. ამხ. ბირკაძემ აღნიშნა მოზარდ მაყურებელთა თეატრის ის მიღწევები, რომლებიც მან მოიპოვა ამ ათი წლის მანძილზე. თეატრის მუშაკთა სახელით სიტყვებით გამოვიდნენ ბორის გამრეკელი და გოგუცა კუპრაშვილი. იუბილარებს მიესალმნენ საქ. ალკკ ც. კ-ის სახელით მარგო თომაძე, ხელოვნების საქმეთა კომიტეტისაგან ვ. დევაძე, ტფილისის პიონერების სახელით—ჟენია ოქიტაშვილი, რუსთაველის თეატრის კოლექტივის სახელით—საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკ. ვასაძე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სახელით—პიერ კობახიძე, გრიბოედოვის სახელობის თეატრისაგან—მსახიობი სატინა, განსახკომისაგან—ამხ. კორპუსოვი და სკოლების წარმომადგენლები.

„ვეფხის ტყაოსნის" უზბეკური ვერსიები

ჩვენი ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა პოეტ-რუსთველოლოგის კონსტ. ჭიჭინაძის მიერ 25 აპრილს მწერალთა სასახლეში წაკითხულ მოხსენებას „ვეფხის-ტყაოსნის" უზბეკურ ვერსიებზე.

კონსტ. ჭიჭინაძემ წინასწარ, ვიდრე თავის მოსაზრებებს იტყოდა, აუდიტორიას გააცნო უზბეკური ხალხური „ვეფხისტყაოსნის" ორივე ვერსია, რომელიც მან უზბეკისტანიდან ჩამოიტანა. პირველი მათგანი „ბათირ ასლანს" წარმოადგენს უზბეკთა შორის ფართოდ გავრცელებულ დიდი ეპიური თქმულების სქემატიურ ჩანაწერს. ამ სქემის მიხედვით, „ბათირ ასლანი" დიდად შორდება რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანში" მოთხრობილ ამბავს. რუსთაველის პოემას იგი მოგვაგონებს მხოლოდ იმით, რომ მეფის ასულზე გამიჯნურებულ რაინდს უხდება დაკარგულ სატრფოს ძებნა, დიდი გაჭირვების გამოვლა, სხვადასხვა ქვეყნის რაინდებთან დამეგობრება და მათი დახმარებით თავისი სატრფოს გამოხსნა. კ. ჭიჭინაძის გადმოცემით, „ბათირ ასლანი" გავრცელებული ყოფილა მთელს აღმოსავლეთში ინდოეთიდან წინა აზიამდე.

„ვეფხის-ტყაოსნის" მეორე უზბეკური ვერსიის ქართული თარგმანი მომხსენებელმა წაიკითხა თითქმის იმ სახით, როგორც ის დომბრაზე დაუმღერებია რუსთაველის საიუბილეო დღეებში 65 წლის უზბეკელ აშუღს ფაზილ იოლდაშევს. ეს ვერსია ძალიან ჰგავს რუსთაველის პოემას. თითქმის უცვლელია გმირთა სახეები, უცვლელია მთავარ გმირთა ხასიათებიც. დაცულია ქალის, სიყვარულის, მეგობრობის კულტი, მაგრამ ამაზე უფრო საკვირველია ის მსგავსება, რომელიც იოლდაშევის მიერ დამღერებულ ზღაპარს აქვს რუსთაველის პოემის კომპოზიციურ აღნაგობასა და სუჟეტურ განვითარებასთან. იოლდაშევის მიერ ნაამბობი ზღაპარი იწყება, ვითარდება და თავდება ისე, როგორც რუსთაველის პოემა. უზბეკური ხალხური თქმულების და რუსთაველის პოემის ასეთმა არაჩვეულებრივმა მსგავსებამ, როგორც მომხსენებელმა გადმოგვცა, სრული საფუძველი მისცა უზბეკ მეცნიერ მუშაკს შარაფ ფუნდინოვს გამოეტანა დასკვნა, რომ იოლდაშევის მიერ ნაამბობი ზღაპარი წარმოადგენს რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის" გადამღერებას. ფუნდინოვის აზრით, „ვეფხის-ტყაოსანი" უზბეკეთში შეტანილი უნდა იყოს მონღოლთა შემოსევის შემდეგ, იმ დროს, როდესაც თემურლენგმა შუა აზიაში, კერძოდ, სამარყანდში მასობრივად გადაასახლა დიდძალი ქართველობა. სწორედ ამ ქართველებისაგან უნდა იყოს პირველად ნაამბობი და შემდეგ შუააზიის ხალხებში გავრცელებული იოლდაშევისაგან თქმული ვერსია.

ამ დასკვნას ემხრობა თვით მომხსენებელი კონსტ. ჭიჭინაძე, თუმცა მასვე გამორიცხულად არ მიაჩნია ის ჰიპოტეზა, რომ იოლდაშევის მიერ ნაამბობი ზღაპარი, შესაძლებელია, „ვეფხის-ტყაოსნის" დაწერამდე ყოფილიყო გავრცელებული მთელს აღმოსავლეთში. მაგრამ მხოლოდ რუსთაველმა შესძლო ამ გავრცელებული ზღაპრის აყვანა ინდივიდუალური მხატვრული შემოქმედების მიუწვდომელ სიმაღლემდე. ამ ჰიპოტეზას ამაგრებს თვით რუსთაველის მიერ რამდენჯერმე თქმული სიტყვა „ვეფხისტყაოსანში" მოთხრობილ ამბის სპარსული წარმოშობის შესახებ.

„ვეფხის-ტყაოსნის" უზბეკური ვერსიების შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოსთქვეს კორ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ, ი. აბულაძემ, მიხ. ჩიქოვანმა, ი. გრიშაშვილმა, კ. გამსახურდიამ და აკ. გაწერელიამ. ორატორთა დიდ ნაწილს დამაჯერებლად და სარწმუნოდ არ მიაჩნია ჰიპოტეზა იმის შესახებ, რომ იოლდაშევის ნაამბობი წარმოადგენდეს რუსთაველის პოემის პირველ წყაროს. მათი აზრით, ისიც საეჭვოა, რომ იგი შეტანილი იყოს უზბეკეთში მონგოლების შემოსევის შემდეგ, რადგან ფოლკლორის ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ საუკუნეების მანძილზე ასეთი მსგავსება შეენარჩუნებინოს დაწერილი მხატვრული ნაწარმოებიდან ხალხში გადასულს თქმულებას და არ განეცადოს ღრმად მნიშვნელოვანი, არსებითი ცვლილება.

სრული მსგავსება ამბის განვითარებაში, გმირთა ხასიათებში, ეპიზოდებში, დიალოგებში და თვით მიზანსცენებში გვაფიქრებინებს, რომ იოლდაშევის ვერსია არის რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის" ზეპირი ასლი, სულ ახლო ისტორიულ წარსულში გადაღებული და გავრცელებული. ი. გრიშაშვილის დასკვნით, საფიქრებელია ისიც, რომ იოლდაშევს „ვეფხის-ტყაოსნის" შინაარსი დაწვრილებით მოსმენილი და თავისებურად გადამუშავებული ჰქონდეს სულ უკანასკნელ წლებში, იმ ხანებში, როცა მთელს საბჭოთა კავშირში დაიწყო მზადება რუსთაველის იუბილესათვის, როცა რუსთაველის უკვდავი ქმნილებისადმი ინტერესი და მისი გაცნობის სურვილი გაძლიერდა ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხში, როცა რაიმე მოვლენა ესოდენ საყოველთაო რეზონანსს პოულობს, — სთქვა ი. გრიშაშვილმა, — აშუღებს ჩვეულებად აქვთ გაეცნონ და თავისებურად გამოეხმაურონ მას. შესაძლებელია, იოლდაშევის მიერ თქმული ზღაპარი რუსთაველის იუბილეთი აღძრული ინტერესის დაკმაყოფილების ცდას წარმოადგენდეს.

იოლდაშევის ვერსიის ხალხურობა დასაჯერებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ამავე თქმულების სხვა ხალხური ვარიანტები. თუ სხვა ვარიანტი არ აღმოჩნდა, ეჭვს გარეშე იქნება ის ფაქტი, რომ იოლდაშევის ნაამბობი წარმოადგენს რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის" თავისებურ ინდივიდუალურ გადამღერებას. რა დროითაც არ უნდა იყოს წარმოშობილი „ვეფხის-ტყაოსნის" უზბეკური ვერსიები, თავის თავად ისინი დიდ ინტერესს შეიცავენ და მოითხოვენ სერიოზულ მეცნიერულ შესწავლას. მეცნიერებმა და მწერლებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ამ ვერსიების საფუძვლიანი შესწავლისათვის და ახალი ვარიანტების მოსაძებნად უზბეკეთში მივლინებულ იქნას მეცნიერთა და მწერალთა სპეციალური ბრიგადა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუშაკთა დაჯილდოება

ტფილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ათი წლის თავის აღსანიშნავად, საქართველოს სს რესპუბლიკის ცაკმა თეატრის მუშაობის ჩინებულად მოწყობისათვის რეჟისორს ამხ. ბორის ალექსანდრეს-ძე გამრეკელს მიანიჭა საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება. ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობისათვის, თეატრის არტისტები ამხ. თამარ ნიკოლოზის ასული თვალიაშვილი, გიორგი არჩილის-ძე აბაშიძე, გიორგი ნიკოლოზის-ძე დარისპანაშვილი, მერი ალექსანდრეს ასული ერგემლი და ნინო ნიკოლოზის ასული კუპრაშვილი დაჯილდოვებულ იქნენ საქართველოს სს რესპუბლიკის ცაკის სიგელებით.

სანდრო ეულის ლექსებისა და პოემების მეორე წიგნი

გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა სანდრო ეულის ლექსებისა და პოემების მეორე წიგნი. წიგნში მოთავსებულია 1930 წლიდან 1937 წლამდე დაწერილი მხატვრული ნაწერები.

წიგნი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: ავტობიოგრაფიული, ქვეყანა, სადაც დაიბადა ბელადი, ძმობის დროშა, სიმღერა ბედნიერებაზე, ბრძოლით მიწოდეთ, დარაზმეთ, ხიდი, პოემები და თარგმანები.

წიგნი შეიცავს 128 გვერდს, კარგადაა გამოცემული და ღირს 8 მან. 80 კ.



მეეზოვე — ნახ. ნ. ფიროსმანიშვილისა

ლირიკული ამღერება ახალი ძალით

(პეტრე სამსონიძის „ლექსების" წიგნის გამო)

ქართულმა საბჭოთა პოეზიამ უკანასკნელი წლების განმავლობაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. კერძოდ, აღსანიშნავია ლირიკული პოეზიის ზრდა და ძველი კადრების არაჩვეულებრივი გააქტივება. ამ ძველ კადრებში უმთავრესად ვგულისხმობთ იმ მწერლებს, რომლებიც ადრე ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობებს ეკუთვნოდნენ და სოციალიზმის ძლევამოსილი გამარჯვების ზეგავლენით თანდათან განთავისუფლდნენ ბურჟუაზიულ-რომანტიკული, სიმბოლისტური და ნაციონალისტური განწყობილებებისაგან. ამ მწერლებისათვის უმთავრესად დამახასიათებელია მსოფლმხედველობრივი გადაიარაღება და იდეური სრულყოფის ცდა. მაგრამ არ გვექნებოდა სრული წარმოდგენა თანამედროვე საბჭოთა პოეზიის განვითარებაზე თუ არ აღვნიშნავდით მეორე არსებით მომენტსაც. ეს არის პროლეტარული პოეზიის ძველი თაობის მძლავრი მოძრაობა მხატვრული ოსტატობისაკენ. ამ მხრივ, როგორც ლირიკოსი პოეტი, ყურადღებას იქცევს **პეტრე სამსონიძე.**

პეტრე სამსონიძის პოეზია ადრეც გამოირჩეოდა თავისი ლირიზმით, მაგრამ არასოდეს არ გამოუმჟღავნებია მას ლირიკული ამღერების ისეთი ძალა, როგორიც გვაგრძნობინა მან უკანასკნელი წლების განმავლობაში. ამ პერიოდის ლექსებში პოეტი აღწევს მხატვრული ოსტატობის ახალ სიმაღლეებს, ამდიდრებს ლექსს მხატვრული სახეებითა და შედარებებით. ახალ ლექსებში იგრძნობა უფრო მეტი სისადავე და პოეტური ბუნებრივობა. ლექსის ობიექტი, საგანი თითქმის ყოველთვის დიდი უშუალობითა და გულწრფელობით არის განცდილი. სამართლიანად უთქვამს პოეტს თავის თავზე:

„მე სიხარული ჯერ არ მწვევია
ასე მზესავით, თვალის წარმტაცი,
და ლექსიც ჯერ არ დამიწერია,
მგონია, ასეთ უნაზეს განცდით.
თითქოს სათუთი გულის ძარღვები
თრთიან და ასე მეუბნებიან:
— შენ ამ სიმღერით უფრო
მაღლდები...
შენი ცა მიწას დაუფლებია..."

პოეტი თვითონ გვეუბნება: „თითქოს მეორედ განვიცდი სიყრმესო". აქ არის ჭეშმარიტი გრძნობა. მის ახალ ლექსებს მართლაც ატყვიათ ლირიკული ამღერების სიყრმის ბეჭედი. პეტრე სამსონიძის პოეზიაში შესანიშნავ ადგილს დაიჭერენ ლექსები: „სტალინ", „კიროვ", „ვაჟა-ფშაველა", „გაზაფხული", „მღერის სვანი", „სიმღერა სამშობლოზე", „ორდენოსანი საქართველო", „ჭესი", „მხედრული ლექსები" და სხვა. ამ ლექსების თემატიკური არე გაშლილია სოციალისტური მშენებლობის ფონზე და ნაჩვენებია მოვლენათა სოციალ-პოლიტიკური მხარე.

ბედნიერი სოციალისტური სამშობლო,—აი ის ობიექტური წყარო, რომელიც აძლევს საზრდოს და ძალას პოეტის ლირიკას. ოპტიმიზმი აძლევს ლირიკულ სითბოს და შინაგან მხატვრულ პოტენციას სამსონიძის ახალ ლექსებს. მაგრამ ეს ლექსები სამსონიძის მთელი პოეზიიდან მარტო მხატვრული დამუშავების ძალით როდი გამოირჩევიან. ისინი ყურადღებას იქცევენ პოეტური გააზრების ერთგვარი სიღრმით და ფართო რეზონანსით.

პეტრე სამსონიძის, ისევე, როგორც ზოგიერთი მისი თაობის პოეტებისათვის ადრე დამახასიათებელი იყო „კალენდარულობა" „თემატიკური" შეზღუდულობა, პოეტური გააზრების სივიწროვე, რის გამოც ლექსი მხატვრულად შედარებით სუსტი იყო და ვერ ახდენდა გარკვეულ ემოციურ ზეგავლენას მკითხველზე. ეს ნაკლოვანებები პოეტს მეტწილად დაძლეული აქვს. ახალ ლექსებში მართლაც განახლებული სახით გვევლინება იგი.

ლექსში „სტალინ" პოეტი განახლებული ცხოვრებისა და სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული სურათების ფონზე იძლევა დიდი ბელადისა და მასწავლებლის სახეს. იგი გვიხატავს სოციალიზმის მიღწევებს, რომლებიც მოიპოვა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, და ამ გზით გვიჩვენებს ბელადის სიდიადეს. ეს არის თემასთან ერთგვარად ორიგინალურად მისვლის ცდა.

პატრიოტიზმის გრძნობით არის გამჭვალული ლექსები სამშობლოზე. უაღრესად მგრძნობიარე განცდებით და ლირიკული სითბოთია დაწერილი სიხარულის ლექსები— „გაზაფხული", „მღერის სვანი" და სხვ. კარგია ლექსი „სტახანოვ". პოეტი ცდილობს საბჭოთა გმირობას ისტორიული ინტერპრეტაცია გაუკეთოს, იძლევა შრომის მონურ მდგომარეობას წარსულში, რათა უფრო რელიეფიურად გვაჩვენოს თავისუფალი შრომის სასწაულებრივი გმირობის სოციალური ხასიათი, მისი სათავე.

ჩამორჩენილი აგრარული საქართველო მოწინავე ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად იქცა. გაიფურჩქნა მრეწველობა და სოფლის კოლექტიური მეურნეობა. იგი უკვე ერთ-ერთი მოწინავე და ორდენოსანი რესპუბლიკა გახდა. ამ უდიდეს მიღწევებს სამსონიძე პოეტური ექსპრესიითა და ოპტიმიზმით აგვისახავს ლექსში „ორდენოსან საქართველოს". ამ ლექსის ღირსება ისაა, რომ იგი გვაგრძნობინებს იმ დიდ სიყვარულსა და უშუალობას, რომლითაც მიდის პოეტი ფაქტებთან. ესევე შეიძლება ითქვას პოეტის ზოგიერთ სხვა ლექსზე.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პ. სამსონიძემ უკვე დასძლია ყველა ნაკლი, მიაღწია მხატვრული ოსტატობის მწვერვალს, რომ მის ამ ლექსებს არ გააჩნიათ ისეთი ხასიათის უარყოფითი მხარეები, რომლებზედაც საჭირო არ იყოს სერიოზული დაფიქრება და მათი დაძლევისათვის სისტემატიური მუშაობა. უდავოა, რომ პ. სამსონიძემ უკანასკნელად გამოამჟღავნა ძლიერი ლირიკული განცდა, სითბო, უშუალობა, მაგრამ პოეტის მხატვრული ძალა ყოველთვის ვერ უსწორდება ლირიკული ამღერების შესაძლებლობას, განცდას. შინაგანი რეფლექსი სცილდება ლექსის გარეგან ეფექტს და იქმნება ერთგვარი დისპროპორცია პოეტის ლირიკულ „ამოხეთქვას", ამღერებას მთელის ხმით და მხატვრულ რესურსებს, სიტყვათა ოსტატურ მიმოქცევას, მოხდენილ სახეებსა და შედარებებს შორის. ეს გარემოება იწვევს სქემატიურობას. ლირიკული ლექსის დინამიკა უნდა მიმდინარეობდეს სულიერი განცდის პლასტიკური გაშლის მიმართებით. აქ კი ის გადატანილია თხრობისა და მოვლენათა აღწერის სფეროში. ამის გამო ხშირად იქ სადაც საჭიროა ლირიკული ექსპრესია და სითბო, ხელში გვრჩება მხოლოდ ძახილი მთელის ხმით და „სიცივე".

ასეთ შემთხვევაში ლირიკული ლექსის ნაკლი კიდევ იმაში მჟღავნდება, რომ ის, რაგინდ აწეული მანერით არ იყოს დაწერილი, პასიურად მოთხრობილი და ემპირიულ არეში მოქცეული რჩება.

შესამჩნევია კიდევ ერთი ნაკლი. სახელდობრ გატაცება ვრცელი, „ყველაფრისმთქმელი" ლექსებით. ეს გატაცება არ არის დამახასიათებელი მარტო სამსონიძისათვის, ის ბევრ სხვა პოეტსაც ახასიათებს. ჩვენ იგი ნაკლად მიგვაჩნია, რადგან პოეტი ყოველთვის ვერ ახერხებს ლექსის სუჟეტურად მოფიქრებული თემა თანაბარი ლირიკული ძალით დასძლიოს, იძულებული ხდება ლირიკული განწყობილებიდან თხრობაზე გადავიდეს და ამით თავისდაუნებლიეთ შეასუსტოს საერთოდ მიღებული შთაბეჭდილება.

პოეტმა უნდა იგრძნოს თავისი სუსტი ადგილი და სათანადო ყურადღება მიაქციოს შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში.

მიუხედავად ამ ნაკლისა, უკანასკნელი ლექსები საერთოდ თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს პ. სამსონიძის შემოქმედებაში.

ერ. ასტვაცატუროვი.

სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონებანი"

გამომცემლობა „ფედერაციამ" ახლახან მეტად საინტერესო და საყურადღებო წიგნი მიაწოდა მკითხველ საზოგადოებას. ეს არის სოფრომ მგალობლიშვილის მემუარული ხასიათის ნაწარმოები. სოფრომ მგალობლიშვილი საკმაოდ ცნობილი მწერალია. იგი არის ქართველი ხალხოსნური მოძრაობის, „ტეტიათა მოტრფიალების" ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მკითხველი საზოგადოება მას იცნობს როგორც მთელი რიგი მოთხრობების ავტორს. მის კალამს ეკუთვნის „ღამის მეხრე", „ჯორ ზაქარა", „დედა" მაია", „წითელი სარჩული", „გმირისეული ქალი" და სხვა. ამ მოთხრობებში ხალხოსნური მოძრაობით გატაცებულმა მწერალმა გამოხატა რეფორმის შემდეგ დროინდელი ქართული სოფლის აუტანელი ეკონომიური გაჭირვება, სოციალური ჩაგვრა, სიბნელე და ჩამორჩენილობა.

სოფრომ მგალობლიშვილის ზემოხსენებული მოგონებები მეტად ძვირფას მასალას იძლევა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიისათვის. მემუარები თემატიური შინაარსის მიხედვით ორი ძირითადი ნაწილისაგან შესდგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია მოგონებანი 70—80 წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, და ხალხოსნურ მოძრაობაზე საქართველოში ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს მემუარების ავტორის მიწერმოწერას ქართველ მწერლებთან და მისსავე მოგონებებს ქართველ მწერალ-მოღვაწეებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნის პირველი ნაწილი, სადაც ავტორის დაწვრილებით აქვს გადმოცემული ხალხოსნურ მოძრაობის შინაარსი, მისი მონაწილე პირების მოღვაწეობა, მათი ურთიერთობა გლეხობასთან და დახასიათებული აქვს ხალხოსნური პროპაგანდის ფორმები და მეთოდები საქართველოს პირობებში. განსაკუთრებით დასაფასებელია ის, რომ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში არკვევს საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის ჯერ კიდევ გაუშუქებელ საკითხებს, რომელთა შორის განსაკუთრებით საგულისხმოა რუსეთის ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელობისა და ქართველ ხალხოსანთა ორგანიზაციული ურთიერთობის საკითხი.

სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებათა დიდი ნაწილი გაბნეული და გაფანტული იყო რევოლუციის წინადროინდელ ჟურნალ-გაზეთებში, რის გამოც იგი მიუწვდომელი რჩებოდა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. მით უფრო აღსანიშნავია მისი შემდგენელისა და რედაქტორის ლ. ასათიანის მიერ მთელი ამ მასალის ერთ სისტემაში მოყვანა და ცალკე კრებულად გამოცემა, რაც მკითხველს უადვილებს მთლიანი და სრული წარმოდგენა იქონიოს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთ უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე. მემუარებს დართული აქვს რედაქტორის კომენტარიები ყველა იმ საზოგადოებრივ მოვლენასა და პირებზე, რომელთა შესახებ საუბარი აქვს სოფ. მგალობლიშვილს თავის მემუარებში.

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში იაკინთე ლისაშვილის ლექსში „ლირიკის ძალა" მეოთხე ტაეპის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „როცა ას მტერზე ერთი მოძმე გამარჯვებული".

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 857